

ინტერკულტურული მოწიფულობის  
კვლევა  
საქართველოს უმაღლეს  
საგანმანათლებლო  
დაწესებულებათა სტუდენტებში

ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი  
საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---



**unag**  
UN Association of Georgia



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



კვლევა ჩატარდა და მისი ანგარიში გამოიცა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ. პროექტი განხორციელდა საქართველოს გაეროს ასოციაციის პროგრამის “ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა” ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის შეხედულებებს.

This research was conducted and the report was prepared by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR). The was conducted in the framework of the Promotion of Integration, Tolerance and Awareness (PITA) Program funded by the United States Agency for International Development (USAID) and implemented by the United Nations Association of Georgia (UNAG). The views and opinions expressed herein are entirely those of the authors and should not be attributed in any manner to the USAID and the UNAG.

ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა  
საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო  
დაწესებულებათა სტუდენტებში

კვლევის ანგარიში

ავტორები:

შალვა ტაბატაძე  
ნათია გორგაძე

რედაქტორი/კონსულტანტი  
კახა გაბუნია

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი:

ელენე ჯაჯანიძე  
თამარ ანთაძე  
ქეთევან ჯაჭვაძე

ISBN: 978-9941-8-2239-1

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

თბილისი

2020

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---

## სარჩევი

წინათქმა.....	3
შესავალი .....	4
თავი პირველი	
მულტიკულტურალიზმი საქართველოში .....	7
თავი მეორე	
მრავალფეროვნება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში.....	13
თავი მესამე	
ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო .....	18
თავი მეოთხე	
კვლევის მეთოდოლოგია .....	24
თავი მეხუთე	
სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის შეფასება და საუნივერსიტეტო	
გარემოსა და ინტერვენციების გავლენა.....	31
5.1. სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა.....	31
5.2. განსხვავებები სქესის მიხედვით .....	34
5.3. განსხვავებები ასაკობრივ ჭრილში.....	36
5.4. განსხვავებები უნივერსიტეტებს შორის .....	38
5.5 საგანმანათლებლო ინტერვენციები და მათი გავლენა სტუდენტთა	
ინტერკულტურული მოწიფულობაზე .....	43
დასკვნა .....	48
თავი მეექვსე	
ინტერკულტურული მოწიფულობის ცალკეული დებულებების ანალიზი .....	50
დასკვნა .....	64
თავი მეშვიდე	
რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის ინსტიტუციურ დონეზე (უმაღლესი	
საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის).....	66
გამოყენებული ლიტერატურა .....	69
ცხრილები .....	72
გრაფიკები .....	73

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---

## წინათქმა

წარმოდგენილი დოკუმენტი არის კვლევის ანგარიში, რომლის მიზანი იყო ქართველი სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობის შესწავლა და ინტერკულტურულ მოწიფულობაზე სხვადასხვა საუნივერსიტეტო ინტერვენციის გავლენების კვლევა და ანალიზი. კვლევის ანგარიში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საუნივერსიტეტო მრავალფეროვნებისა და ინკლუზიური გარემოს ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ, ავტორების გარდა, კვლევის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, პროცესში უამრავი ადამიანი იყო აქტიურად ჩართული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი თავდაუზოგავი შრომის, შემართებისა და მაღალი მოტივაციის გარეშე ამ ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ სავალდებულოდ მივიჩნიეთ მათთვის მადლობის გადახდა. პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით კვლევის დაფინანსებისათვის საქართველოს გაეროს ასოციაციას, რომელმაც საშუალება მოგვცა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში, კვლევა განგვეხორციელებინა. ასევე, დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ორგანიზაციის თანამშრომლებს: ელენე ჯაჯანიძეს, თამარ ანთაძეს, ქეთევან ჯაჭვაძეს დაუღალავი შრომისათვის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საველე სამუშაოების, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემების დამუშავებისათვის პროექტში ჩართულ სტუდენტებს. დიდი მადლობა კვლევაში მონაწილე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთა მხარდაჭერაც უმნიშვნელოვანესი იყო კვლევის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. და ბოლოს, იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში წარმოჩენილი საკითხები არ დარჩება განათლების პოლიტიკის მესვეურთა, უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებისა და პროგრამის ხელმძღვანელთა ყურადღების მიღმა. გვჯერა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოში ინკლუზიური საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ჩატარდა საქართველოში „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ საქართველოს გაეროს ასოციაციის პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს ქართველი სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობის შესწავლას და ინტერკულტურულ მოწიფულობაზე სხვადასხვა საუნივერსიტეტო ინტერვენციის მნიშვნელობის გამოვლენას და ანალიზს.

დოკუმენტის პირველი ნაწილი მოკლედ მიმოხილავს საქართველოში არსებულ ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ მრავალფეროვნებას, ხოლო მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) არსებული მრავალფეროვნება საერთაშორისო სტუდენტების, ეთნიკური უმცირესობების, გენდერული, შეზღუდული შესაძლებლობების თუ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

კვლევის ანგარიშის მესამე ნაწილი დათმობილი აქვს ამ სფეროში ჩატარებული კვლევების მიმოხილვასა და თეორიულ ჩარჩოს, რომელთა დაფუძნებით შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის ინსტრუმენტი.

კვლევის ანგარიშის მეოთხე თავში დეტალურადაა აღწერილი კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია.

კვლევის ანგარიშის მეხუთე ნაწილი აღწერს კვლევის შედეგებს, წარმოადგენს სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის შესახებ მიღებულ შედეგებს როგორც ზოგადად, ასევე სქესთაშორისი, ასაკთაშორისი და უნივერსიტეტთაშორისი განსხვავებებით. ამავე თავში წარმოდგენილია სხვადასხვა საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო ინტერვენციის გავლენა სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობაზე.

ანგარიშის მეექვსე ნაწილში კი წარმოვადგენთ კვლევის ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტის ცალკეულ დებულებებზე სტუდენტთა პასუხების ანალიზს და განვიხილავთ საინტერესო ტენდენციებს ამ მიმართულებით.

მეშვიდე თავში წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ერთი მხრივ, საუნივერსიტეტო მრავალფეროვნების ზრდასა და საუნივერსიტეტო ინკლუზიური გარემოს შექმნას და, მეორე მხრივ, სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის გაზრდას.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## თავი პირველი

### მულტიკულტურალიზმი საქართველოში

თანამედროვე გლობალურ სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მრავალფეროვან გარემოში თანაცხოვრების უნარს, ინტერკულტურულ მოწიფულობას, ტოლერანტულობას განსხვავებების მიმართ. მრავალფეროვანი სასწავლო და საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა იქცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნედ და სტრატეგიულ ამოცანად (ტაბატაძე, 2010).

საქართველო ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია და ისინი მოსახლეობის 86.8%-ს შეადგენენ, ხოლო მოსახლეობის 13,2%-ს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014; ტაბატაძე, 2015; ტაბატაძე 2017). ქართველების შემდეგ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6,3%), რომლებიც კომპაქტურად არიან განსახლებულნი ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და კახეთის რეგიონებში, აგრეთვე აქვთ კომპაქტური განსახლების უბნები თბილისში (გორგაძე, 2016).

მეორე დიდ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან სომხები (4.5%). ისინი ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახლობენ კომპაქტურად და წარმოადგენენ ამ რეგიონის უმრავლესობას, ისევე, როგორც კომპაქტურად და ფართოდ არიან წარმოდგენილნი წალკაში, თბილისსა და ბათუმშიც. კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფი, როგორებიც არიან: რუსები, ოსები, აფხაზები, ბერძნები, უკრაინელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა მრავალი ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც განსახლებულნი არიან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (გორგაძე, 2016).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილავთ დეტალურ ინფორმაციას საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ რაოდენობრივი და პროცენტული თვალსაზრისით 2014 წლის აღწერის მონაცემთა მიხედვით:

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## ცხრილი #1. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა რაოდენობრივი და პროცენტული

ქართველი	3,224,564	86.80%
აზერბაიჯანელი	233,024	6.30%
სომები	168,102	4.50%
რუსი	26,453	0.70%
ოსი	14,385	0.40%
იეზიდი	12,174	0.30%
უკრაინელი	6,034	0.16%
ქისტი	5,697	0.15%
ასირიელი	2,377	0.06%
სხვა	14,346	0.40%
სულ	3,713,804	100.00%

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014

რეგიონალურ ჭრილში თუ განვიხილავთ, ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, თბილისისა და კახეთის რეგიონები.

ქვემო ქართლის მოსახლეობის დაახლოებით 51% ეთნიკურად ქართველია, 42% - ეთნიკურად აზერბაიჯანელი და 5% - ეთნიკურად სომები, ხოლო 2% - ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ, ისინი რეგიონის 50%-ზე მეტს შეადგენენ; ოდნავ ნაკლებია ქართველთა რიცხოვნება (49%), ხოლო დანარჩენი ეთნიკური შემადგენლობის მოსახლეობა დაახლოებით 1%-ის ფარგლებშია.

კახეთის რეგიონში ქართველები წარმოადგენენ მოსახლეობის დაახლოებით 85%-ს, აქვე, გვხვდებიან აზერბაიჯანელები, რომლებიც კახეთის რეგიონის 10%-ზე მეტს შეადგენენ; პანკისელი ქისტები რეგიონის მოსახლეობის 2%-მდე შეადგენენ, ქისტები ქმნიან კომპაქტურ დასახლებას პანკისის ხეობაში

შიდა ქართლის რეგიონშიც უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, მაგრამ გვხვდება აზერბაიჯანული, ოსური და სომხური დასახლებებიც.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა დედაქალაქი თბილისი, სადაც, ქართველებთან ერთად, დიდ ჯგუფებს ქმნიან აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები; თბილისში ასევე განსახლებულია მრავალი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი.

დეტალური ინფორმაცია რეგიონალური განსახლების შესახებ წარმოდგენილია მე-2 ცხრილში:

**ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო  
დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

**ცხრილი #2. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა რეგიონების მიხედვით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.  
საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014)**

	სულ	ცხრილი 2. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა რეგიონების მიხედვით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014)										
		ქართველი	აზერბაი ჯანელი	სომები	რუსი	ოსი	იეზიდ ი	უკრაი ნელი	ქისტი	ბერძენი	ასირიე ლი	სხვა
	სულ											
საქართველო	3,713,804	3,224,564	233,024	168,102	26,453	14,385	12,174	6,034	5,697	5,544	2,377	14,346
ქ. თბილისი	1,108,717	996,804	15,187	53,409	13,350	4,313	11,194	3,239	84	1,861	972	7,828
აჭარა	333,953	320,742	340	5,461	3,679	101	81	793	...	575	131	1,940
გურია	113,350	111,168	34	1,228	564	30	17	141	0	28	0	133
იმერეთი	533,906	530,288	106	709	1,384	143	...	398	0	109	125	614
კახეთი	318,583	271,298	32,354	2,191	1,921	2,526	504	202	5,581	158	...	1,806
მცხეთა- მთიანეთი	94,573	89,343	2,316	291	252	1,327	61	80	...	55	709	136
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	31,977	...	...	29	28	0	...	0	...	0	29
სამეგრელო- ზემო სვანეთი	330,761	328,662	64	143	1,173	46	...	312	0	55	36	264
სამცხე- ჯავახეთი	160,504	77,498	89	81,089	712	393	...	142	0	420	...	147
ქვემო ქართლი	423,986	217,305	177,032	21,500	2,631	810	305	510	25	2,113	362	968
შიდა ქართლი	263,382	249,479	5,501	2,072	758	4,668	...	208	...	163	34	481

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---

თბილისის გარდა, სხვა დიდი ქალაქებიც გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით: ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, რუსთავი და ბათუმი.

რაც შეეხება კომპაქტურ განსახლებებს, ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ უმრავლესობას ან საკმაოდ დიდი ოდენობით არიან განსახლებულნი სხვადასხვა რაიონში. სომხური ეროვნების მოქალაქეები განსახლებულნი არიან ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის და წალკის რაიონებში.

აზერბაიჯანულენოვნები გვხვდებიან მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის რაიონებში, წარმოდგენილნი არიან აგრეთვე კომპაქტური დასახლების სოფლების სახით თელავის, საგარეჯოს, ლაგოდების, კასპის, მცხეთისა და თეთრიწყაროს რაიონებში (გორგაძე, 2016).

ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. ქართველური ენები აერთიანებს ქართულს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს. საქართველოში გვხვდება ბერძნული, თურქული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური ენები.

საქართველოში არიან აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: ქისტები, ჩეჩენები, ლეკები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა. საქართველოში წარმოდგენილია მსოფლიოში უნიკალური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ისეთი ენები, როგორიცაა ბაცბური და უდიური (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008; გაბუნია, 2014).

აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი საუბრობს განსხვავებულ და მრავალფეროვან ენებზე, მაგალითად, სომებთა ნაწილის მშობლიური ენაა სომხური, ხოლო ნაწილისა - რუსული (ტაბატაძე, 2018); თვითონ სომხურ ენაზე მოსაუბრეთა ენა განსხვავებულია დიალექტური თვალსაზრისით სხვადასხვა ჯგუფში. ანალოგიური ვითარებაა ეთნიკურად ბერძნების მოსახლეობაში: საქართველოს ბერძნები იყოფა ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე და თურქულენოვან ჯგუფებად (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008).

ცხრილი #3 წარმოგიდგენთ დეტალურ ინფორმაციას საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფის შესახებ რეგიონების მიხედვით.

**ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი  
საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

**ცხრილი #3. საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნება რეგიონების მიხედვით**

	სულ	მათ შორის მშობლიური ენით:								
		ქართული	აფხაზური	ლერი	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	საქართველოს კუნძული	საქართველოს მთიანეთი	არ არის მითითებული
საქართველო	3,713,804	3,254,852	272	5,698	231,436	45,920	144,812	30,742	72	
ქ. თბილისი	1,108,717	1,014,079	96	1,281	14,640	25,993	37,500	15,086	42	
აჭარა	333,953	321,823	113	23	232	6,500	3,237	2,017	...	
გურია	113,350	111,343	...	15	33	742	998	215	...	
იმერეთი	533,906	530,672	12	43	85	1,755	528	810	...	
კახეთი	318,583	272,737	...	1,953	32,183	2,310	1,483	7,902	...	
მცხეთა- მთიანეთი	94,573	90,370	...	578	2,297	332	150	843	0	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	31,992	0	21	...	50	...	23	0	
სამეგრელო- ზემო სვანეთი	330,761	328,570	17	17	55	1,585	117	399	...	
სამცხე- ჯავახეთი	160,504	79,065	...	91	74	979	79,878	413	0	
ქვემო ქართლი	423,986	219,706	13	277	176,417	4,849	20,095	2,620	...	
შიდა ქართლი	263,382	254,495	...	1,399	5,419	825	824	414	...	

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014**

ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნების კვალდაკვალ, საქართველოს მოსახლეობა მრავალფეროვანია რელიგიური აღმსარებლობის თვალსაზრისითაც. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია - 83%, თუმცა ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა რელიგიური კონფესიაც. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებელია. მართლმადიდებელები არიან ოსების, რუსების, ბერძნების, აფხაზების, ასირიელებისა და უდების უმეტესი ნაწილი, ასევე - სომხების გარკვეული რაოდენობა. სომხების დიდი უმრავლესობა სომეხთა სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებს თავს.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

როგორც ქართველების, ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები კათოლიკური ან პროტესტანტული ეკლესიის მრევლია. კათოლიკური ეკლესიის მრევლი ეთნიკური სიჭრელით გამოიწვევა (ქართველები, სომხები, ასირიელები, პოლონელები, გერმანელები, რუსები და სხვ.). „საქართველოს მოსახლეობის როგორც ეთნიკურად ქართველი (აჭარლების ნაწილი), ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების (აზერბაიჯანელები, ქისტები, ლევები, აფხაზები) საგრძნობი რაოდენობა ისლამს აღიარებს (10.7%). ქურთების ნაწილი იეზიდია, ნაწილი - ქრისტიანი და ნაწილიც - მუსლიმი. საქართველოს ებრაელები იუდაიზმს მისდევენ; გერმანელები ლუთერანული ეკლესიის წევრები არიან, თუმცა კათოლიკეებიც გვხვდებიან” (ტაბატაძე, გორგაძე, 2014 ა, გვ. 7).

### ცხრილი 4. რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში

მართლმადიდებელი	3,097,573	83%
მუსლიმი	398,677	10.70%
სომხური სამოციქულო ეკლესია	109,041	3%
კათოლიკი	19,195	0.50%
იეჰოვას მოწმე	12,395	0.30%
იეზიდები	8,591	0.20%
პროტესტანტები	2,520	0.05%
იუდეური	1,417	0.03%
სხვა	1,429	0.03%
არცერთი	19,080	0.50%
სულ	3,713,804	100%

### საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014

განსხვავებული რელიგიის მიმდევართა განსახლებაც, ძირითადად, კომპაქტურია და, რეგიონების მიხედვით გვხვდება კომპაქტური განსახლებები. ქვემო ქართლში მართლმადიდებლებთან ერთად დიდი რაოდენობით წარმოდგენილია მუსლიმი თემი, აგრეთვე სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები. სამცხე-ჯავახეთში მართლმადიდებლებთან ერთად თანაცხოვრობს სომხური სამოციქულო ეკლესიის მოზრდილი თემი, გვხვდება აგრეთვე კათოლიკე მოსახლეობა. აჭარაში მართლმადიდებელი და მუსლიმი თემი შეადგენს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას.

მეხუთე ცხრილი დეტალურ ინფორმაციას გვთავაზობს რელიგიური ჯგუფების განსახლების შესახებ რეგიონების მიხედვით:

**ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო  
დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

**ცხრილი 5. საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება რეგიონების მიხედვით.**

	სულ	მათ შორის აღმსარებლობით:										
		მართლმადი დებელი	მუსლიმი	სომხური- სამოციქულო	კათოლიკე	იეჰოვას მოწმე	იეზიდი	პროტეს ტანტუ ლი	იუდეური	სხვა	არცერთი	
	სულ											
საქართველო	3,713,804	3,097,573	398,677	109,041	19,195	12,395	8,591	2,520	1,417	1,429	19,080	
ქ. თბილისი	1,108,717	1,024,931	16,268	29,368	1,662	3,979	8,124	1,174	1,016	973	4,971	
აჭარა	333,953	182,041	132,852	1,082	147	175	25	148	59	50	9,233	
გურია	113,350	98,330	12,951	144	306	107	12	64	...	28	368	
იმერეთი	533,906	527,531	931	67	158	1,473	0	139	93	73	711	
კახეთი	318,583	273,177	38,683	182	264	1,011	233	326	35	74	931	
მცხეთა- მთიანეთი	94,573	90,861	2,296	35	15	469	42	105	...	15	141	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	31,818	...	...	0	69	0	...	13	...	30	
სამეგრელო- ზემო სვანეთი	330,761	326,061	766	23	53	1,408	0	36	13	35	338	
სამცხე- ჯავახეთი	160,504	72,605	6,060	64,115	15,024	314	0	27	33	39	903	
ქვემო ქართლი	423,986	217,724	182,216	13,926	1,493	1,011	154	186	41	98	839	
შიდა ქართლი	263,382	252,494	5,650	97	73	2,379	...	313	102	43	615	

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

საქართველო, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური მრავალფეროვნების გარდა ხასიათდება ასაკობრივი სხვადასხვა ჯგუფებით, განსხვავებული ტერიტორიული განსახლებით, სქესობრივი სტრუქტურითა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და სტატუსით განსხვავებული მოქალაქეებით (გორგაძე, 2016). ამასთანავე, საქართველოში ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ჯგუფები. შესაბამისად, საქართველო ხასიათდება მრავალფეროვნებით და ამ მრავალფეროვან გარემოში თანაცხოვრება და განვითარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მომავლისთვის.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## თავი მეორე

### მრავალფეროვნება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 148 803 სტუდენტი სწავლობს, აქედან 95535 სახელმწიფო, ხოლო 53268 სტუდენტი - კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იღებს უმაღლეს განათლებას (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა კონტიგენტი საკმაოდ მრავალფეროვანია და წარმოდგენილია როგორც უცხოული, აგრეთვე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის სტუდენტით, მათ შორის - შეზღუდული შესაძლებლობების, სხვადასხვა სოციალური სტატუსის, გენდერის, ასაკისა და ტერიტორიული განსახლების სტუდენტით.

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ მრავალფეროვნებას ხელს უწყობს სამთავრობო პოლიტიკა კვოტირების შესახებ. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, დადგინდა სტუდენტთა კვოტა, რომლებიც გაივლიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (5-5%-ის ოდენობით სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი და 1-1%-ს ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის (მუხლი 52.5<sup>1</sup>). ამ პოლიტიკის შემოღების შედეგად ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხნენ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტები და მათთვის შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა. ქართულ ენაში მომზადების პროგრამამ საქართველოს 20 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში გაიარა აკრედიტაცია; გთავაზობთ იმ უნივერსიტეტების სიას, სადაც მოქმედებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

1. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი;
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
6. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი);
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
8. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, ქ. ახალქალაქი);
10. ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. გორი, ქ. თბილისი);
11. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. თელავი);
12. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ზუგდიდი);
13. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

14. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი);
15. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი);
16. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. გორი);
17. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (ქ. თბილისი, ქ. სიღნაღი);
18. ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი (ქ. ქუთაისი);
19. დავით ალმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (ქ. გორი);
20. უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია (თბილისი).

2010-2019 წლებში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სულ ჩაირიცხა 5510 აზერბაიჯანულენოვანი და 2653 სომხურენოვანი აბიტურიენტი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობამ 8163 შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩარიცხულ სტუდენტთაგან მხოლოდ 857-მა დაამთავრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სტუდენტების დარჩენილი რაოდენობა - 7000-ზე მეტი კვლავ ირაცხება საბაკალავრო საფეხურზე და ამჟამად განეკუთვნება სტუდენტთა მრავალრიცხოვან კოპორტის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტთა გარდა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების არასაშეღავთო სისტემით ჩააბარეს გამოცდები და გახდნენ სტუდენტები.

უმაღლესი განათლების რეფორმის სპეციფიკურ მიზნად, 2017-2021 წლების სტრატეგიის მიხედვით, განისაზღვრა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მიზნის ინდიკატორად კი განსაზღვრულია მაღალი აკადემიური ქულების მქონე სტუდენტების რაოდენობისა და უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა. განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებული იქნა სპეციალური პროგრამა „Study in Georgia“, რომელიც საქართველოს, როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ჰაბის, პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ინტენსიურად ხორციელდება საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამები. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია და ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს საერთაშორისო აკადემიური პერსონალისა თუ საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის მკვეთრად გაზრდას. დღევანდელი მდგომარეობითაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელი სტუდენტები საკმაო რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. კერძოდ, 2019-2020 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 13 327 საერთაშორისო სტუდენტი

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

სწავლობს, რომელთაგან ყველაზე დიდი წარმომადგენლობა აქვთ ინდოეთსა და აზერბაიჯანს.

დეტალური ინფორმაცია უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ქვეყნების მიხედვით იხილეთ ცხრილი #6.

**ცხრილი #6. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით.**

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.**

	სახელმწიფო	კერძო
<b>უცხოელი სტუდენტები</b>		
სულ	4 429	8 898
აზერბაიჯანი	344	1000
ეგვიპტი	68	373
ერაყი	238	301
თურქეთი	44	123
ინდოეთი	2464	4368
იორდანია	181	114
ირანი	103	515
ისრაელი	29	683
ლიბანი	25	180
ნიგერია	39	556
რუსეთი	253	59
შრი-ლანკა	192	3
სხვადასხვა	449	623


სტუდენტების შემადგენლობა განსხვავებულია ასაკის შესაბამისად. მართალია, სტუდენტთა დიდი ნაწილი 24 წლამდე ახალგაზრდაა, თუმცა, 25 წელს ზევით ასაკის სტუდენტთა რაოდენობა 18 000-ს შეადგენს, რაც ცალსახად უსვამს ხაზს სტუდენტთა შემადგენლობის ასაკობრივ სხვაობასაც.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

გრაფიკი 1. სტუდენტთა გადანაწილება ასაკის მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სტუდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით 2019–2020 სასწ. ზ.  
დასაწყისისთვის, კაცი



სტუდენტთა შემადგენლობა განსხვავებულია სქესის მიხედვითაც და წარმოდგენილნი არიან მეტ-ნაკლებად თანაბრად როგორც გოგონები, ასევე - ბიჭები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სქესობრივი ნიშნით სეგრეგირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არის. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში 95535 სტუდენტიდან 48353 ქალი და 47182 მამაკაცია, ხოლო კერძო უმაღლეს სასწავლებლებში 53268 სტუდენტიდან 27 012 ქალი და 26256 მამაკაცია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). როგორც ციფრებიდან ჩანს, გოგონათა რაოდენობა ოდნავ აჭარბებს ვაჟების რაოდენობას, თუმცა, მთლიანობაში დაახლოებით თანაბრად არის ორივე სქესი წარმოდგენილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებიც, რომელთაც ესაჭიროებათ ინკლუზიური საუნივერსიტეტო გარემო უმაღლესი განათლების მისაღებად, მათ შორის, მნიშვნელოვანია სტუდენტთა მგრძნობელობა მათ მიმართ და მათი მიმღებლობის მაღალი ხარისხი სტუდენტებში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი ავალებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიმართ თანასწორ მოპყრობას (მუხლი 16.1.დ) და რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას (მუხლი 3.2.თ). უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 3.4-ე მუხლი კრძალავს რაიმე რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უმაღლესი განათლების

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

შესახებ” კანონი მოითხოვს სტუდენტის რელიგიური კუთვნილების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას, რომელიც ცნობილი გახდა აკადემიური პერსონალის ან ადმინისტრაციისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (მუხლი 43.4). სტუდენტებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში ისარგებლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით (მუხლი 43.1.გ).

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## თავი მესამე ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

ინტერკულტურული მგრძნობელობისა და კომუნიკაციის გაზომვის მრავალი მოდელი და მათზე დაფუძნებული ინსტრუმენტები არსებობს თანამედროვე მსოფლიოში. ამ მოდელებში შესწავლილია ინდივიდის უნარები, ცოდნა თუ დამოკიდებულებები კულტურული სენსიტიურობის თვალსაზრისით (მაგალითად, გიუდიკიუნსტი, უისმენი და ჰამერი (1977, 1978), აბე და უისმენი (1983, 1984) ჰამერი (1987, 1989, აგრეთვე უისმენი, ჰამერი და ნიშიდა (1989). ზემოთ მითითებული ავტორები თავიანთ ნაშრომებში განასხვავებენ ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციის შემეცნებით და ემოციურ განზომილებებს. ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია გულისხმობს ადამიანის უნარს, შეიქმნას უცხო კულტურის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება (დამოწმებულია: ტაბატაძე, 2015).

კვლევათა მეორე ნაწილში აქცენტი გაკეთებულია ინტერკულტურული მგრძნობელობის ქცევით და არა დამოკიდებულებით და ცოდნით კომპონენტებზე (რუბენი, 1976, 1977, 1987; რუბენი და კეილი; 1979; ჰაიუსი და კეილი, 1981; და კეილი, 1989.) ეს მიდგომა ინტერკულტურული ინტერაქციის პროცესზე და ამ პროცესში ადამიანთა ქცევაზე ამახვილებს ყურადღებას (დამოწმებულია: ტაბატაძე, 2015) ავტორები ამტკიცებენ, რომ ქცევითი ეფექტიანობა არის ინტერკულტურული კომუნიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. მათ აღმოაჩინეს 7 უნარი, რომელიც განაპირობებენ ინტერკულტურული თვალსაზრისით ადეკვატურ ქცევას, მათ შორის - პატივისცემის გამოხატვას, ინტერაქციის მართვას, ემპათიასა და ტოლერანტობას (ტაბატაძე, 2015).

ინტერკულტურული მგრძნობელობის სხვადასხვა მოდელი და მისი გაზომვის ინსტრუმენტი არსებობს, რომელთაგანაც ჩვენ განვიხილავთ (1) ჩენისა და სტაროსტას ინტერკულტურული მგრძნობელობის მოდელს; (2) ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების მოდელს და (3) კინგისა და მაგოლდას ინტერკულტურული მოწიფულობის მოდელს. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში ჩვენ გამოვიყენეთ ბენეტის ინტერკულტურული მოწიფულობის და კინგისა და მაგოლდას ჩვენ მიერ ინტეგრირებული მოდელი, რომლის მიხედვითაც კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. კინგისა და მაგოლდას მოდელი ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდელად სტუდენტებში ინტერკულტურული მოწიფულობის შესამოწმებლად. კინგისა და მაგოლდას მოდელისა და ბენეტის მოდელის ინტეგრირების გზით განხორციელდა კვლევის ინსტრუმენტის შექმნაც და ანალიზი.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## ჩენისა და სტაროსტას მოდელი

ჩენმა (1990) და ჩენმა და სტაროსტამ (1996) განავითარეს ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელი, რომელიც აერთიანებდა როგორც შემეცნებით და დამოკიდებულებით, აგრეთვე ქცევით ასპექტებს (ტაბატაძე, 2015). მეცნიერებმა გამოყვეს ინტერკულტურული კომპეტენციების სამი ასპექტი: (ა) ინტერკულტურული ცნობიერება; (ბ) ინტერკულტურული მგრძნობელობა და (გ) ინტერკულტურული მოხერხებულობა (ტაბატაძე, 2015).

ინტერკულტურული ცნობიერება შემეცნებითი განზომილებაა, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს: თვითგაცნობიერებას და კულტურულ გაცნობიერებას (ტაბატაძე, 2015). ინტერკულტურული მგრძნობელობა კი ემოციური და დამოკიდებულებითი განზომილებაა, რომელიც, ჩენისა და სტაროსტას მოდელის მიხედვით, მოიცავს 6 კომპონენტს: თვითშეფასებას, თვითშემოწმებას, ემპათიას, გონიერებას, განუკიცხველობას და სოციალურ რელაქსაციას. ინტერკულტურული მოხერხებულობა არის ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციის ქცევითი განზომილება, რომელიც მოიცავს ოთხ კომპონენტს: გადმოცემის უნარს, შესაბამის თვითგახსნას, ქცევით მოქნილობასა და ინტერაქციის მენეჯმენტს (ჩენი და სტაროსტა, 1996, 1998, 1999, 2000; დამოწმებულია: ტაბატაძე, 2015).

## ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების მოდელი

ბენეტის მოდელში გამოიყოფა ინტერკულტურული მგრძნობელობის ექვსი საფეხური, რომლებიც ორ ფაზაზეა გადანაწილებული (დამოწმებულია: ტაბატაძე, 2015).

ეთნოცენტრული ფაზა 1. სხვაობათა უარყოფა; 2. სხვაობათაგან თავდაცვა; 3. სხვაობათა მინიმიზაცია და ეთნორელატიური ფაზა: 4. სხვაობათა მიმღებლობა; 5. სხვაობათა ადაპტაცია; 6. სხვაობათა ინტეგრაცია.

დეტალურად ამ მოდელს კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში განვიხილავთ.

## კინგისა და მაგოლდას ინტერკულტურული მოწიფულობის მოდელი

კიდევ ერთი მოდელი ეკუთვნით კინგსა და მაგოლდას, რომელსაც ინტერკულტურული მოწიფულობის მოდელს უწოდებენ (კინგი და მაგოლდა, 2005). კინგისა და მაგოლდას მოდელი გამოიყენება უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერკულტურული მგრძნობელობის შესაფასებლად. მათ გამოყვეს ინტერკულტურული მოწიფულობის სამი სხვადასხვა სფერო: კოგნიტური, ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური და ინტერკულტურული მოწიფულობის განვითარების სამი სხვადასხვა დონე: (ა) საწყისი; (ბ)შუალედური; (გ) მაღალი.

დეტალურად ამ მოდელს კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში განვიხილავთ.

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

### **ინტერკულტურული მგრძნობელობის გაზომვის ინსტრუმენტები და კვლევები**

ინტერკულტურული მგრძნობელობის განსაზღვრის შესახებ არაერთი კვლევა არსებობს მსოფლიოს მასშტაბით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ საქართველოშიც განხორციელდა უკანასკნელ წლებში რამდენიმე კვლევა. ლიტერატურის მიმოხილვის ამ ნაწილში, მოკლედ წარმოვადგენთ აღნიშნული კვლევების შედეგებს.

ინტერკულტურული მგრძნობელობის კვლევა ახალი მიმართულებაა საქართველოში, თუმცა, უკანასკნელ წლებში ჩატარებული რამდენიმე კვლევის დასახელება შესაძლებელია. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მზია წერეთლისა და ირინა გედევანიშვილის „ქართველ სტუდენტთა აფხაზების მიმართ ინტერკულტურული სენსიტიურობის კვლევა“. კვლევა ჩატარდა ქართველ სტუდენტებში აფხაზების მიმართ ინტერკულტურული სენსიტიურობის გაზომვის მიზნით. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი გახლდათ ბენეტის ინტერკულტურული სენსიტიურობის მოდელი. მკვლევრებმა კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენეს სპეციალურად შექმნილი ინტერკულტურული სენსიტიურობის საზომი კითხვარი/სკალა. ყოველი სკალა ასახავდა ბენეტის მიერ გამოყოფილი 6 ძირითადი დებულებიდან - სხვაობათა უარყოფა, თავდაცვა, მინიმიზაცია, მიმღებლობა, ადაპტაცია და ინტეგრაცია - რომელიმე ერთს. კვლევაში მონაწილეობდა 410 ქართველი სტუდენტი (279 გოგო, 131 ბიჭი), რომელთა საშუალო ასაკი იყო 18 წელი. კვლევის მონაწილეთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის და სასულიერო აკადემიის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიდან. კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი იყო მაღალი: 0.92. მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ აფხაზების სკალაზე განსაკუთრებით მაღალია ადაპტაციისა და ინტეგრაციის ქვესკალების მაჩვენებლები. მიმღებლობის ქვესკალა თითქმის ნულს უტოლდება, თუმცა გვაქვს ფსევდო მინიმიზაციის ფაქტორი. რაც შეეხება უარყოფის სკალას, აღსანიშნავია, რომ ქართველ სტუდენტებს შორის აგრეთვე ადგილი აქვს უარყოფის ტენდენციასაც. ხოლო თავდაცვის სკალის მიხედვით, ქართველი სტუდენტები არ ავლენენ აფხაზების მიმართ თავდაცვის ტენდენციას. ამგვარად, მაღალია ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხარისხი, მაგრამ, რადგან ამავე დროს მაღალია უარყოფაც და მინიმიზაციის ხარისხიც იხრება მინუსისაკენ, სავარაუდოდ, ამ მომატებულ მგრძნობელობას უნდა ჰქონდეს ვირტუალური ხასიათი. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ ქართველ სტუდენტებს შორის ეთნორელატიურობა სჭარბობს ეთნოცენტრულობას, გენდერული განსხვავების მიხედვით ანალიზისას გამოიკვეთა, რომ გოგოების საშუალო ჯამური ქულა აღემატებოდა ვაჟების საშუალო ქულას. ამრიგად, მდედრობითი სქესის ქართველ სტუდენტებს უფრო მეტი ინტერკულტურული მგრძნობელობა აღმოჩნდათ აფხაზების მიმართ, ვიდრე მამრობითისას.

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

ანალოგიური კვლევა ჩატარდა 2011 წელს „ინტერკულტურული მგრძნობელობის გაზომვა ქართველ სტუდენტებში“, რომელთა ავტორები არიან გედევანიშვილი, წერეთელი, შურდაია. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად მუშაობს ინტერკულტურული მგრძნობელობის ჩენისა და სტაროსტას კითხვარი ქართულ გარემოში. ჩენისა და სტაროსტას კითხვარი გადაითარგმნა ქართულ ენაზე ორმაგი თარგმანის პრინციპით. კითხვარის შევსებაში მონაწილეობდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილისა და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები. კვლევაში მონაწილეობდა 255 სტუდენტი, 148 გოგო და 107 ბიჭი. საკვლევი ჯგუფის საშუალო ასაკი იყო 20-23 წელი. კვლევაში მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიყო 8 ფაქტორი: 1. ინტერაქციით სიამოვნება/უსიამოვნება; 2.ინტერაქციისას თავდაჯერებულობა; 3. სხვა კულტურათა უარყოფა / მიმღებლობა; 4. კულტურული სხვაობების პატივისცემა; 5. სხვა კულტურასთან თანასწორობა; 6. ინტერაქციისას სენსიტიურობა; 7. ყურადღებიანობა ინტერაქციისას; 8. სიფრთხილე ინტერაქციისას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩენისა და სტაროსტას ინტერკულტურული მგრძნობელობის საზომი კითხვარი სხვაგვარად ფუნქციონირებს ქართულ კულტურაში. იგი არ არის „კულტურისაგან თავისუფალი“ ვალიდური ინსტრუმენტი. ამერიკასა და გერმანიაში ჩატარებულ ასეთივე კვლევებთან შედარებისას ამ კითხვარის გამოყენებისას გამოვლინდა ერთი და იგივე ფაქტორები: ინტერაქციის სიამოვნება, თავდაჯერებულობა, ყურადღებიანობა და კულტურული სხვაობების პატივისცემა. ქართულ კულტურაში ამ ფაქტორებს დაემატა: ინტერაქციისას სენსიტიურობა, სიფრთხილე, სხვა კულტურათა მიმღებლობა-უარყოფა და მათთან თანასწორობის ფაქტორები.

ტაბატაძემ და გორგაძემ შეისწავლეს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობა (ტაბატაძე და გორგაძე, 2013; ტაბატაძე და გორგაძე, 2014a). კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემთხვევით შერჩევის პრინციპით არჩეულმა 395-მა მასწავლებელმა. კვლევაში გამოიყენეს ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის მოდელზე დაფუძნებული, ქართულ კონტექსტზე ადაპტირებულ კითხვარი. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ბენეტის მოდელის ეთნოცენტრულ საფეხურზე იმყოფება. კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ (ა) მასწავლებლებს სხვადასხვა მგრძნობელობა აქვთ კულტურული იდენტობის სხვადასხვა წყაროს მიმართ. მაგალითად, ასაკის მიმართ ტოლერანტობა არ გამორიცხავს განსხვავებული ეთნიკური თუ რასობრივი წარმომავლობის მიმართ არატოლერანტობას. (ბ) მასწავლებლები არიან სელექციურად ტოლერანტები განსხვავებული ჯგუფის მიმართ ერთი და იმავე კულტურული იდენტობის წყაროს ფარგლებში; (გ) მასწავლებლები უფრო ტოლერანტულები არიან „ადვილად ცვალებად“ კულტურული იდენტობის განსხვავებულობის მიმართ (ასაკი, გეოგრაფიული მდგომარეობა; სოციალური მდგომარეობა), ვიდრე რთულად შეცვლადი იდენტობის წყაროების განსხვავებებისადმი (რასა, ეთნიკურობა, რელიგია); (დ) განათლების დონე

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

განსაზღვრავს მასწავლებელთა მგრძნობელობას: რაც უფრო მაღალია მასწავლებელთა განათლების დონე, მით უფრო მაღალი აღმოჩნდა მათი ტოლერანტულობა.

ტაბატაძემ და გორგაძემ 2014 წელს შეისწავლეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა განათლების პროგრამების სტუდენტთა ინტერკულტურული მგრძნობელობა ბენეტის მოდელის მიხედვით (ტაბატაძე და გორგაძე, 2014ბ; ტაბატაძე და გორგაძე, 2018). კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემთხვევით შერჩევის პრინციპით არჩეულმა მასწავლებელთა განათლების პროგრამის 355-მა სტუდენტმა. კვლევაში გამოიყენეს ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის მოდელზე დაფუძნებული, ქართულ კონტექსტზე ადაპტირებულ კითხვარი. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ინტერკულტურული მგრძნობელობის ეთნოცენტრულ ფაზაში იმყოფება და მათ გააჩნიათ სელექციური მგრძნობელობა კულტურული იდენტობის სხვადასხვა წყაროს მიმართ.

მაღაზონიამ, მაღლაკელიძემ, ჭიაბრიშვილმა და გახელაძემ (2017) ასევე ჩაატარეს ინტერკულტურული კომპეტენციების კვლევა შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და მათაც დაადგინეს მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობის საწყისი ფაზა.

გორგაძემ და ტაბატაძემ 2019 წელს ჩაატარეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს ონლაინ გამოკითხვის შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინტერკულტურული კომუნიკაციის ეფექტურობა, რომელიც ინტერკულტურული პერსონალობის კითხვარის საშუალებით კულტურული ემპათიის, ღიაობის, სოციალური ინიციატივის, ემოციური სტაბილურობისა და მოქნილობის ჭრილში განიხილავდა ინტერკულტურულ გარემოში ეფექტური კომუნიკაციისათვის მზაობას და ამ მზაობის ინტენსივობის შესაბამისად ოთხი - მიუღებლობის (ყველაზე საწყისი), შემგუებლობის, ტრანზიტულ და ტრანსფორმაციულ (ყველაზე მაღალი) ეტაპების მიხედვით საზღვრავდა კვლევის სამიზნე ჯგუფების დამოკიდებულებებს. (გორგაძე და ტაბატაძე, 2019). კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 542 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი, 237 ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის სტუდენტი და 238 ლექტორ-მასწავლებელი თბილისის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან. კვლევამ აჩვენა, რომ სამიზნე ჯგუფიდან არც ერთი არ იმყოფება მიუღებლობის ეტაპზე არც ერთ განზომილებაში. ლექტორ-მასწავლებლები და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები უფრო ხშირად აჩვენებდნენ მზაობას ინტერკულტურულ გარემოში ეფექტური კომუნიკაციისათვის ტრანზიტულ და ტრანსფორმაციულ ეტაპებზე ოთხივე განზომილებაში, ვიდრე ქართული ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები. ამასთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები უფრო ხშირად აჩვენებდნენ ინტერკულტურულ გარემოში ეფექტური კომუნიკაციისათვის მზაობას ტრანსფორმაციულ ეტაპზე

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

კულტურული ემპათიის, ღიაობის და ემოციური სტაბილობის განზომილებებში. ტრანსფორმაციულ ეტაპზე თანაბარი სიხშირით აჩვენებდნენ ეფექტური კომუნიკაციისათვის მზაობას სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები მოქნილობის განზომილებაში და უფრო მაღალი სიხშირით აჩვენებდნენ ლექტორ-მასწავლებლები სოციალური ინიციატივების განზომილებაში.

ლიტერატურის მიმოხილვიდანვე ჩანს, რომ უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა ინტერკულტურული მგრძნობელობის შესწავლას, თუმცა არსებულ სამეცნიერო და აკადემიურ კვლევებს, ისევე, როგორც პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევებს, აკლია სტუდენტთა საერთო ინტერკულტურული მოწიფულობის შესწავლა, რომელიც შედეგების განზოგადების შესაძლებლობას მოგვცემდა, აგრეთვე არასოდეს შესწავლილა ინტერკულტურალიზმი კინგისა და მაგოლდას მიერ შემუშავებული ინტერკულტურული მოწიფულობის მოდელით, რომელიც სტუდენტების მგრძნობელობის გაზომვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება და, ამასთანავე, არ შესწავლილა საუნივერსიტეტო სტრუქტურული, ინსტიტუციური თუ ინტერაქციის თვალსაზრისით შექმნილი გარემოს გავლენა სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობაზე საქართველოში. სწორედ ამ დანაკლისის აღმოფხვრას ემსახურება წარმოდგენილი კვლევა.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## თავი მეოთხე კვლევის მეთოდოლოგია

### კვლევის მიზანი და კითხვები

პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო დაგვეძგინა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფი სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობა. საკვლევ კითხვებს წარმოადგენდა:

- 1) რამდენად მაღალია სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა?
- 2) როგორია სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა კოგნიტური, ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური დომენების მიხედვით;
- 3) არის თუ არა განსხვავება დომენებს შორის სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისით;
- 4) განაპირობებს თუ არა ისეთი ფაქტორები და ინტერვენციები სტუდენტთა მაღალ ინტერკულტურულ მოწიფულობას სხვადასხვა დომენის მიხედვით, როგორებიცაა მრავალფეროვნების სპეციალური კურსი, უნივერსიტეტში და / ან უნივერსიტეტთაშორისი სტაჟირების ან გაცვლითი პროგრამები, საზღვარგარეთ სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო ღონისძიებები, ლექტორთა მიერ მულტიკულტურული მიდგომების ინტეგრაცია სწავლების პროცესში და ა.შ.?

### კვლევის მეთოდები

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, კვლევის რაოდენობრივი მეთოდი გამოვიყენეთ, კერძოდ, კვლევის ფარგლებში ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. გამოკითხვა მოიცავდა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს.

### შერჩევა

სტუდენტთა შერჩევა მოხდა კლასტერული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. სამიზნე პოპულაციას საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები შეადგენენ.

კლასტერში შეირჩა შემდეგი უნივერსიტეტები:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU);
2. ილიას უნივერსიტეტი (ISU);
3. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU);
4. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (CU);

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

5. შავი ზღვის უნივერსიტეტი (IBSU);
6. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი (BSU);
7. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (SJSU);
8. ქუთაისის უნივერსიტეტი (UNIK);

რესპონდენტების რაოდენობა: 386.

**ცხრილი 7. შერჩეული სტუდენტების გადანაწილება კურძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის**

საჯარო უნი 259	კურძო უნი 126
თსუ - 123	კავკასიის უნი -55
ილიაუნი- 77	შავი ზღვის უნი -34
ახალციხე- 21	აღმ. ევროპის უნი -10
ბათუმი- 38	ქუთაისის უნივერსიტეტი - 27
არ დასახელდა - 1	
საჯარო უნი 259	
თსუ - 123	
ილიაუნი- 77	
ახალციხე- 21	
ბათუმი- 38	
არ დასახელდა - 1	

საფაკულტეტო მიმართულების მიხედვით, გამოკითხულები შემდეგნაირად არიან გადანაწილებულები:

**ცხრილი 8. შერჩეულ სტუდენტთა გადანაწილება უნივერსიტეტებისა და პროფესიონალური მიხედვით**

კურსი	ფაკულტეტი/მიმართულება									სულ მიმართულ ებების მიხედვით
	კუმანიტარული	ლასტი და ზუნე გილეტებულება	კუნომიკა- გიზნესი- ტურიზმი	იურისპრუდენ ცია	სოფიალურ- პლიტიკური კულტურული კუთხით	მედიცინა- ფარმაკოლოგია	ინჟინერია- ტექნოლოგიური- არქიტექტურა	ფინანგება- განათლება- განვითარების ადმინისტრირება	შერჩევა	
TSU	28	30	21	18	14	6	0	6	0	123
ISU	3	8	5	18	3	2	3	10	25	77
EEU	2	0	2	5	0	0	0	0	1	10
BSU	4	0	13	4	4	0	4	2	7	38
KSU	0	0	26	0	1	0	0	0	0	27
IBSU	1	0	3	9	13	0	4	0	4	34
CU	5	0	15	9	6	1	14	5	0	55
SJSU	0	1	4	8	0	0	0	4	4	21
სულ	0	1	4	8	0	0	0	4	4	21
სულ	43	39	90 <sup>1</sup>	71	41	9	25	27	41	386

<sup>1</sup> ერთი გამოკითხულის იდენტირიფიცირება ხდება მხოლოდ მიმართულების (ეკონომიკა, ბიზნესი, ტურიზმი) და არა უნივერსიტეტის მიხედვით

# **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

საბოლოო ჯამში, ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის შედეგად, შეირჩა 386 სტუდენტი, 95 % სანდოობის მაჩვენებელითა და 5 %-იანი ცდომილების ზღვრით. თითოეულ სტრატაში გამოიყო შესაბამისი კვოტა. შერჩეულ 386 სტუდენტთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო 35 სარეზერვო სტუდენტის ჩართვა დამატებით სიაში (ძირითადი სიის სტუდენტთა მიერ კვლევაში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში).

## **კითხვარის შემუშავება/თეორიული ჩარჩო**

კითხვარის შედგენა დაეფუძნა ინტერკულტურული განათლების მეცნიერებებში გავრცელებულ ორ კონცეპტუალურ ჩარჩოს: კერძოდ, ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ბენეტის მოდელსა და კინგისა და მაგოლდას ინტერკულტურული მოწიფულობის მოდელს. კითხვარის შედგენა და მისი ანალიზი განხორციელდება სწორედ ამ ორი თეორიული ჩარჩოს გაერთიანების შედეგად. მოკლედ განვიხილავთ ამ მოდელს და კვლევის ფარგლებში ამ ჩარჩოების გაერთიანების პრინციპს.

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, ბენეტი თავის მოდელში გამოყოფს ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ექვს საფეხურს:

- 1) **სხვაობათა უარყოფა** არის საფეხური, როდესაც ინდივიდს არ გააჩნია უნარი, შეამჩნიოს კულტურული სხვაობები. ამ დროს ინდივიდი იგნორირებას უკეთებს არსებულ მრავალფეროვან რეალობას;
- 2) **სხვაობათაგან თავდაცვა** წარმოადგენს შემდგომ საფეხურს ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელში. ამ ეტაპზე ხდება კულტურული სხვაობების აღიარება, თუმცა, ამასთანავე, განსხვავებული კულტურის შეფასება ხდება მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში;
- (3) **სხვაობათა მინიმიზაცია** არის ეთნოცენტრული ფაზის ბოლო საფეხური. ინტერკულტურული სენსიტიურობის ამ ეტაპზე მყოფი პიროვნება ახდენს კულტურული სხვაობების ზედაპირულ აღიარებას, თუმცა, ამავე დროს, აღიქვამს ყველა ინდივიდს, როგორც არსებითად მსგავსს;
- 4) **სხვაობათა მიმღებლობა** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის პირველი საფეხური. ამ ფაზის დროს ზოგადად იცვლება მიდგომა და ხდება იმის აღქმა, რომ „კულტურული სხვაობები არ არის სახიფათო“. სხვაობების მიმღებლობის საფეხური გულისხმობს სხვაობის, როგორც ღირებულების, პატივისცემას და ინტერესს კულტურული სხვაობების მიმართ.

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

**5) სხვაობათა ადაპტაცია გახლავთ ეთნორელატიური ფაზის მეორე საფეხური; იგი გულისხმობს უნარის განვითარებას, რომელსაც შეუძლია გაარღვიოს კულტურული ჩარჩოები. ინდივიდს უკვე შეუძლია კულტურათაშორისი ეფექტური კომუნიკაცია.**

**6) სხვაობათა ინტეგრაცია ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების ბოლო სტადია, რომლის მიღწევა ძალიან რთულია; იგი ძალიან იშვიათად გვხვდება რეალობაში. ამ საფეხურზე ინდივიდს შეუძლია თანაბრად და ეფექტურად იმოქმედოს ორი სრულიად განსხვავებული კულტურის ფარგლებში (ტაბატაძე და გორგაძე, 2013 გვ. 22).**

მეორე მოდელი გახლავთ კინგისა და მაგოლდას ინტერკულტურული მოწიფულობის მოდელი. მოდელი, როგორც უკვე აღინიშნა, ფართოდ გამოიყენება სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობის შესაფასებლად და საუნივერსიტეტო დონეზე იძლევა სტუდენტთა მზაობის განსაზღვრის და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვის შესაძლებლობას, რომელთაც გავლენა ექნება როგორც კოგნიტურ და ინტრაპერსონალურ დომენებზე, ასევე, ინტერპერსონალურზე, ანუ უნივერსიტეტებს შესაძლებლობა ექნებათ, კოგნიტური და აკადემიური ცოდნის თვალსაზრისით, განუვითარონ სტუდენტებს მგრძნობელობა და ეს საკითხი ასახონ სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში და, მეორე მხრივ, დაგეგმონ საუნივერსიტეტო მრავალფეროვნების ხელშემწყობი ღონისძიებები და აქტიურად ჩართონ სტუდენტები მსგავს ღონისძიებებში.

კინგმა და მაგოლდამ გამოყვეს ინტერკულტურული მოწიფულობის სამი სხვადასხვა დომენი: კოგნიტური, ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური და ინტერკულტურული მოწიფულობის განვითარების სამი სხვადასხვა დონე: (ა) საწყისი; (ბ) შუალედური; (გ) მაღალი. კინგისა და მაგოლდას მოდელში ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი გულისხმობს ინდივიდის ცოდნაზე დაფუძნებულ მოსაზრებებს, ინტრაპერსონალური გულისხმობს ინდივიდის მიერ ღირებულებათა საკუთარი სისტემის აღქმას, ხოლო ინტერპერსონალური გულისხმობს ინდივიდის ხედვას და ქცევას სხვა ადამიანებთან ინტერაქციის პროცესში (ტაბატაძე, 2015). კინგისა და მაგოლდას მოდელი თავად ეყრდნობა ორ თეორიულ ჩარჩოს, კეგანის მიერ ჩამოყალიბებულ სამდომენიან ჩარჩოსა და ბენეტის ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების საფეხურების მოდელს. ანუ, ფაქტობრივად წარმოადგენს ამ ორი თეორიული მოდელის შეჯერებულ ვერსიას (ტაბატაძე, 2015).

კინგისა და მაგოლდას მოდელის ვიზუალურ შეჯამებას წარმოგიდგენთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

**ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი  
საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

**ცხრილი 9. კინგისა და მაგოლდას ინტერკულტურული მოწიფულობის 3-განზომილებიანი მოდელი**

განვითარების დომენი	განვითარების საწყისი დონე	განვითარების შუალედური დონე	განვითარების მაღალი დონე
კოგნიტური	ცოდნა არის განსაზღვრული; მკვეთრი კატეგორიზაცია სწორსა და არასწორს შორის; განსხვავებულ კულტურული პერსპექტივა განიხილება, როგორც მცდარი;	მრავალმხრივი ხედვის მიმღებლობა;	უნარი საკუთარი ხედვა და ქმედება ჩამოაყალიბო სხვა კულტურული თვალთახედვიდან გამომდინარე;
ინტერპერსონალური	საკუთარი ღირებულებების ნაკლებად ცოდნა სოციალური იდენტობის გაურკვევლობა, განსხვავება აღქმულია, როგორც საფრთხე პირადი იდენტობისათვის;	განსხვავებული კულტურების ლეგიტიმაციის აღიარება, თუმცა განსხვავებული კულტურული ღირებულებისაგან გამიჯვნა;	საკუთარი იდენტობის ფორმირება, რომელიც ითვალისწინებს მრავალფეროვან სო-ციალურ კონტექსტს;
ინტერპერსონალური	ურთიერთობა ხორციელდება მხოლოდ საკუთარი იდენტობის მსგავსი იდენტობის მქონე ადამიანებთან; განსხვავებული მიდგომები უარყოფილია, ადამიანებთან ურთიერთობა აგებულია მხოლოდ საკუთარი კულტურული იდენტობიდან იდენტობიდან გამომდინარე, სხვის განსჯაზე უარის თქმა.	განსხვავებული კულტურული იდენტობის ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი და საკუთარი კულტურული იდენტობიდან გამომდინარე, სხვის განსჯაზე უარის თქმა.	სხვისი უფლებების დასაცავად ბრძოლა, სხვა კულტურული იდენტობის ადამიანის თვალთახედვის გაანალიზების უნარი და გადაწყვეტილების და ქმედების დაფუძნება საკუთარი და სხვა კულტურული მსოფლმხედველობის შეჯერებაზე.

**კინგი და მაგოლდა, გვ. 576, 2005, ტომი 46, # 6  
Journal of College Student Development**

აღსანიშნავია, რომ ბენეტის მოდელის ასახვა სასწავლო პროცესში არის ყველაზე მოსახერხებელი, რამეთუ იგი ეფუძნება ბლუმის კოგნიტური განვითარების ტაქსონომიას მარტივიდან რთულისაკენ. შესაბამისად, ეს მოდელი გაერთიანდა კინგისა და მაგოლდას

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

მოდელთან, რომელიც უნივერსიტეტებს, სასწავლო პროცესსა და მის მიღმა საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, რეაგირების აუცილებლობის შეფასების შესაძლებლობებს აძლევს.

კვლევის ფარგლებში ინტერკულტურული მგრძნობელობის კითხვარი შედგებოდა ხუთი ნაწილისგან, თითო დომენი - თითო ნაწილი: კოგნიტური, ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური. მეოთხე ნაწილი შეეხებოდა საგანმანათლებლო ინტერვენციებს (გაცვლითი პროგრამები, სასწავლო კურსები, ლექტორთა მიდგომები, საუნივერსიტეტო ღონისძიებები), რათა მათი ზეგავლენა დაგვედგინა ინტერკულტურულ მოწიფულობაზე. მეხუთე ნაწილი შედგებოდა კოგნიტური დომენის დამაზუსტებელი შეკითხვებისგან. კითხვარს ახლდა დემოგრაფიული ნაწილის სექცია. კითხვარის პირველი ნაწილი მოიცავდა დემოგრაფიულ მონაცემებს. მთლიანობაში კითხვარი მოიცავდა 60 დებულებას და თითო დებულების მისანიჭებელი ქულების გრადაციამ შეადგინა 0-დან 5-მდე ქულა ლიკერტის სკალის შესაბამისად; მინიჭებული ქულა გამოხატავდა გრადაციას ინტერკულტურული მგრძნობელობის ბენეტის მიერ ჩამოყალიბებული მოდელის შესაბამისად სხვაობათა უარყოფიდან სხვაობათა ადაპტაცია-ინტეგრაციამდე. კითხვარში დასმული დებულების პასუხად გამოკითხვაში მონაწილე ხაზავდა ერთ-ერთ იმ ვარიანტს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავდა მის დამოკიდებულებას:

- (0) არ არის რელევანტური (1) სრულიად არ ვეთანხმები; (2) არ ვეთანხმები
- (3) არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები; (4) ვეთანხმები; (5) აბსოლუტურად ვეთანხმები.

დებულების ფორმულირება იყო სხვადასხვა და 0-დან 5 ქულამდე მინიჭება ხდებოდა კონკრეტული დებულებიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში „არ არის რელევანტური“ გულისხმობდა 0 ქულის მინიჭებას, ზოგჯერ - 5 ქულას, რევერსული შეკითხვების შემთხვევაში, ანალოგიურად, პასუხი „აბსოლუტურად ვეთანხმები“ ხან 0 ქულას ანიჭებდა და ხან 5-ს, - ისევე როგორც პასუხი „ვეთანხმები“ და პასუხი „არ ვეთანხმები“ გულისხმობდა 2 ან 4 ქულის მინიჭებას კითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე (შემუშავებული კითხვარი იხილეთ დანართის სახით). კითხვარში შეტანილი 60 კითხვიდან 0-5-მდე შეფასებით თითო კითხვაზე შემუშავდა ქულების შესაბამისად გამოკითხულთა მგრძნობელობის 6-ფაზიანი სისტემა, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

### ცხრილი 10. კულტურული მოწიფულობის შეფასების სკალა

საერთო ინტერკულტურული მოწიფულობა					
საწყისი		შუალედური		მაღალი	
უარყოფა	თავდაცვა	მინიმიზაცია	მიმღებლობა	ადაპტაცია	ინტეგრაცია
0-149		150-209		210-300	
0-75	76-149	150-185	186-209	210-255	256-300
ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი					
საწყისი		შუალედური		მაღალი	
უარყოფა	თავდაცვა	მინიმიზაცია	მიმღებლობა	ადაპტაცია	ინტეგრაცია
0-49		50-69		70-100	
0-25	26-49	50-59	60-69	70-85	86-100

ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი					
საწყისი		შუალედური		მაღალი	
უარყოფა	თავდაცვა	მინიმიზაცია	მიმღებლობა	ადაპტაცია	ინტეგრაცია
0-49		50-69		70-100	
0-25	26-49	50-59	60-69	70-85	86-100

ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი					
საწყისი		შუალედური		მაღალი	
უარყოფა	თავდაცვა	მინიმიზაცია	მიმღებლობა	ადაპტაცია	ინტეგრაცია
0-49		50-69		70-100	
0-25	26-49	50-59	60-69	70-85	86-100

კითხვარის ადმინისტრირება განხორციელდა შერჩეულ უნივერსიტეტებში 2020 წლის იანვარი, თებერვალი და მარტის თვეებში. მიღებული მონაცემები შევიყვანეთ SPSS-ის პროგრამაში და განხორციელდა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომლის შედეგებსაც მომდევნო თავებში წარმოგიდგენთ.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## თავი მეხუთე

### სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის შეფასება და საუნივერსიტეტო გარემოსა და ინტერვენციების გავლენა

#### 5.1. სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა

კვლევამ აჩვენა ქართველი სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობის დონე შუალედურ საფეხურისკენაა კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილი იმყოფება ინტერკულტურული მოწიფულობის საწყის დონეზე კოგნიტურ და ინტერპერსონალურ დომენებში, ხოლო სამივე დომენის მიხედვით გაერთიანებულ მაჩვენებელში სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ინტერკულტურული მოწიფულობის შუალედურ დონეზე - 73.3%, 22% კი მაღალ დონეზე იმყოფება. 4.7% ინტერკულტურული მოწიფულობის საწყის დონეზე აღმოჩნდა. აღნიშნული მაჩვენებელი, რომელიც #2 გრაფიკშია წარმოდგენილი, საკმაოდ დამაიმედებელ მონაცემებს იძლევა, რადგან დამატებითი საგანმანათლებლო თუ კლასგარეშე ინტერვენციების პირობებში ინტერკულტურული მოწიფულობის გაზრდა მეტად იქნება შესაძლებელი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასრულებისათვის სტუდენტთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი, შესაძლოა, სწორედ მაღალი მგრძნობელობის მოქალაქეებისგან შედგებოდეს.

#### გრაფიკი 2. სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა სამივე დომენის მიხედვით




კვლევის ფარგლებში, საერთო მონაცემების გარდა, განვახორციელეთ ინტერკულტურული მოწიფულობის შეფასება სამი დომენის: კოგნიტური, ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური დომენების მიხედვით. შედეგების გადანაწილება მოხდა როგორც კინგისა და მაგოლდას მიერ ჩამოყალიბებულ 3-დონიან, აგრეთვე ბენეტის მიერ განსაზღვრულ 6-საფეხურიან სკალაზე. კოგნიტური დომენის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ცოდნაზე დაფუძნებულ მოსაზრებებს განსხვავებათა მიმართ, აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა დაახლოებით მეხუთედი არის ინტერკულტურული მოწიფულობის საწყის დონეზე და გვხდებიან როგორც სხვაობათა უარყოფის, ასევე

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

სხვაობათაგან თავდაცვის საფეხურზე მყოფი სტუდენტები, სტუდენტთა უმრავლესობა იმყოფება ინტერკულტურული მოწიფულობის შუალედურ საფეხურზე, შუალედურ საფეხურზე მყოფი სტუდენტების 45% შუალედურ დონის ზედა საფეხურზე ანუ ბენეტის მოდელის მიმღებლობის ფაზაზე, ხოლო 55 % -მინიმიზაციის საფეხურზე იმყოფება. გამოკითხულ სტუდენტთა 17,6% ინტერკულტურული მოწიფულობის მაღალ საფეხურზე აღმოჩნდა (დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი #3 და გრაფიკი #4):

**გრაფიკი #3. სტუდენტთა გადანწილება ინტერკულტურული მოწიფულობის სამი დონის შესაბამისად - კოგნიტური დომენი**



**გრაფიკი #4. ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი ბენეტის საფეხურების შესაბამისად**



რაც შეეხება სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალურ დომენს, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი ღირებულებათა სისტემის აღქმას, აქაც კოგნიტური დომენის მსგავსად სტუდენტთა უმრავლესობა შუალედურ საფეხურზე იმყოფება. ხოლო შუალედურ საფეხურზე მყოფთა უმრავლესობა, ამ შემთხვევაში უკვე ზედა, ანუ მიმღებლობის საფეხურზეარის განლაგებული. ინტრაპერსონალურ დომენზე უფრო სახარბიელო შედეგებია, ვიდრე კოგნიტურ და ინტერპერსონალურ დომენებში, რაც მიუთითებს, რომ დომენებს შორის იერარქია არ არსებობს და დონეები მხოლოდ დომენების შიგნით უნდა განისაზღვროს და სამივე დომენი, როგორც კოგნიტური, ასევე ინტრაპერსონალური და ინტერპერსონალური,


## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

დამოუკიდებელი და თანაბარმნიშვნელოვანი დომენებია. ინტრაპერსონალურ დომენში არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მეხუთე და მეექვსე გრაფიკებშია წარმოდგენილი:

**გრაფიკი #5. ინტრაპერსონალური დომენი:**



**გრაფიკი 6. ინტრაპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით**




რაც შეეხება ინტერპერსონალურ დომენს, რომელიც გულისხმობს, ინდივიდის ხედვას და ქცევას სხვა ადამიანებთან ინტერაქციის პროცესში, სურათი მეტ-ნაკლებად თანხვდება კოგნიტურ და ინტრაპერსონალურ დომენებში არსებულ ვითარებას. ინტერპერსონალური დომენის მიხედვით აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა მცირე ნაწილი არის ინტერკულტურული მოწიფულობის საწყის საფეხურზე და გვხდებიან როგორც სხვაობათა უარყოფის აგრეთვე სხვაობათაგან თავდაცვის საფეხურზე მყოფი სტუდენტები, სტუდენტთა უმრავლესობა იმყოფება ინტერკულტურული მოწიფულობის შუალედურ საფეხურზე, მათ შორის მის ზედა ნაწილში, ხოლო სტუდენტთა 36 % იმყოფება ინტერკულტურული მოწიფულობის მაღალ საფეხურზე. დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი 7 და გრაფიკი 8.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

გრაფიკი #7. ინტერპერსონალური დომენი



გრაფიკი #8. ინტერპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით




### 5.2. განსხვავები სქესის მიხედვით

კვლევის ფარგლებში დავინტერესდით გოგონათა და ბიჭებს შორის არსებული სხვაობით ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისით. კვლევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისით არ გამოვლენილა, თუმცა აღინიშნა, რომ ოდნავ უფრო მაღალი შედეგები საერთო მაჩვენებლის მიხედვით გოგონებს აღმოაჩნდათ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების აბსოლუტური უმრავლესობა ინტერკულტურული მოწიფულობის შუალედურ დონეზე იმყოფება, მაღალ დონეზე მყოფ

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020


სტუდენტთა რაოდენობა გოგონებში 22.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიჭებში - 20.30 %-ს. (იხილეთ გრაფიკი 9).

### გრაფიკი #9. ინტერკულტურული მოწიფულობა სქესის მიხედვით




უნდა აღნიშნოს, რომ დომენებს შიგნით ცალსახა მაჩვენებელი არ არის და არ მიჰყება საერთო მაჩვენებლის ტენდენციას. მაგალითისათვის კოგნიტურ დომენში ბიჭების ინტერკულტურული მგრძნობელობა უფრო მაღალია ვიდრე გოგონების (იხილეთ გრაფიკი 10) ანალოგიური მაჩვენებელი ინტერპერსონალურ დომენში (გრაფიკი 11).

### გრაფიკი #10. ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით სქესთაშორისი განსხვავება




### გრაფიკი #11. ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით სქესთაშორისი განსხვავება



## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ინტრაპერსონალური დომენის ქვეშ გოგონების მგრძნობელობა აშკარად აჭარბებს ბიჭების მგრძნობელობას: მათი უმრავლესობა, ღირებულებების თვალსაზრისით, მაღალი ადაპტაციისა (48%) და ინტეგრაციის (4%) საფეხურზე იმყოფება (დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი #12).

**გრაფიკი #12 ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით სქესთაშორისი განსხვავება**



### 5.3. განსხვავებები ასაკობრივ ჭრილში


სქესთაშორისი განსხვავების გარდა საინტერესო იყო ასაკობრივი განსხვავება: რამდენად არის ინტერკულტურული მოწიფულობა უფრო მაღალი ასაკის მატებასთან ერთად. კვლევამ საინტერესო ტენდენცია აჩვენა. კვლევის მიხედვით ასაკის ზრდასთან ერთად ინტერკულტურული მოწიფულობის მაღალ საფეხურზე მყოფთა პროცენტული მაჩვენებელი იზრდება.

სტუდენტებში ასაკი დაკავშირებულია საგანმანათლებლო საფეხურის მაღალ კურსთანაც, შესაბამისად, კვლევის ეს მიგნება ადასტურებს, რომ სწავლის უფრო მეტ ხანგრძლივობას უმაღლესი განათლების საფეხურზე დადებითი გავლენა აქვს ინტერკულტურულ მოწიფულობაზე.

ამ მიგნების დასადასტურებლად საინტერესო იქნებოდა სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტთა გამოკითხვაც და შედეგების შედარება. ნებისმიერ შემთხვევაში, საბაკალავრო საფეხურზე მაღალ კურსზე ყოფნას და, შესაბამისად, უფრო მაღალ ასაკს დადებითი გავლენა აქვს ინტერკულტურულ მოწიფულობაზე (დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი #13).


## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

### გრაფიკი #13. ინტერკულტურული მოწიფულობა ასაკის მიხედვით




უნდა აღინიშნოს, რომ ასაკთაშორისი განსხვავება დაფიქსირებულია სამივე დომენში, თუმცა უფრო გამოკვეთილია კოგნიტურ და ინტერპერსონალურ დომენებში (იხილეთ გრაფიკი 14, 15).

### გრაფიკი #14. კოგნიტური დომენი ასაკი მიხედვით




### გრაფიკი #15. ინტერპერსონალური დომენი ასაკის მიხედვით



რაც შეეხება ინტრაპერსონალურ დომენს (გრაფიკი 16) - აქ ასაკთაშორისი განსხვავება ნაკლებად იკვეთება, თუმცა ასაკის გავლენა მაინც არსებობს და უფრო მეტი ასაკის მქონე სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობა ამ დომენშიც უფრო მაღალია.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020


**გრაფიკი 16. ინტრაპერსონალური დომენი ასაკის მიხედვით**



### 5.4. განსხვავებები უნივერსიტეტებს შორის

რაც შეეხება განსხვავებებს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობას შორის, საერთო ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისით, მკვეთრი სხვაობა არ ფიქსირდება არც კინგისა და მაგოლდას სამდონიანი სკალის და არც ბენეტის 6-საფეხურიანი სკალის მიხედვით. როგორც კერძო აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტების დაახლოებით მეხუთედი (21.4%-22.4%) ადაპტაციის საფეხურზე, ხოლო 44%-ზე მეტი კი, მიმღებლობის. უმნიშვნელო რაოდენობის სტუდენტები (5.0-3.2%) იმყოფებიან სხვაობათაგან თავდაცვის ეთნოცენტრულ საფეხურზე და კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება სტუდენტთა მინიმიზაციის საფეხურზე ყოფნის თვალსაზრისით და ის 27.8% შეადგენს.


**გრაფიკი 17: უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის დომენების საერთო განაწილება ბენეტის მოდელის მიხედვით.**



## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

კინგის და მაგოლდას სამდონიან სკალაზე საერთო ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისითაც კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში დაახლოებით ერთნაირი ვითარება გვხვდება. საერთო განაწილებაში, საწყის საფეხურზე სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა 5.0 % და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა 3.2 % იმყოფება. როგორც კერძო აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა უმრავლესობა შუალედურ საფეხურზეა, ხოლო კერძო უნივერსტიტეტის სტუდენტები უმნიშვნელოდ აღემატებიან შუალედურ საფეხურზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს (კერძო 75.4%, სახელმწიფო (72.6%), რაც შესაბამისად აისახება მაღალ საფეხურზე განაწილებაზე და შეადგენს სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის 22.4% და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის 21.4%. საერთო ჯამში, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობა ოდნავ მაღალია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მოწიფულობაზე ბენეტის მოდელის მიხედვით.

**გრაფიკი 18. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის დომენების საერთო განაწილება კინგის და მაგოლდას სამდონიანი მოდელის მიხედვით**




კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო დომენებს შიგნით არსებული ვითარება და კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა მოწიფულობის შედარება დომენების მიხედვით. ინტრაპერსონალურ დომენში, სხვაობა ფიქსირდება. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი 0.4% იმყოფება ინტეგრაციის ფაზაში. ორივე ტიპის უნივერსიტეტში სტუდენტების თითქმის თანაბარი პროცენტი (40-41%) იმყოფება ადაპტაციის საფეხურზე. განსხვავება ფიქსირდება მინიმიზაციისა და მიმღებლობის საფეხურებს შორის. კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების უფრო მეტი პროცენტი იმყოფება ინტერკულტურული მოწიფულობის უფრო მაღალ მიმღებლობის საფეხურზე, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. უმნიშვნელო რაოდენობის სტუდენტები 5.0% სახელმწიფო და 4.0% კერძო უნივერსიტეტებში იმყოფებიან სხვაობათაგან თავდაცვის დაბალ საფეხურზე. სამდონიანი სკალის მიხედვით იმავე ინტრაპერსონალურ დომენში განსხვავება კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის უკვე არ შეიმჩნევა, რადგან სტუდენტები სამივე დონეზე თითქმის ერთნაირი პროცენტული შეფარდებით არიან გადანაწილებულნი. ორივე მოდელით ანალიზიდან კი თვალსაჩინოა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებში, შუალედურ დონეზე იმყოფება; მაგრამ შუალედური დონის შიგნით


## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ფიქსირდება განსხვავებები და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები უფრო მაღალი მიმღებლობის საფეხურზე იმყოფებიან, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მინიმიზაციის საფეხურზე (იხილეთ გრაფიკები 19, 20).

**გრაფიკი 19.** უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი ბენეტის მოდელის მიხედვით.



**გრაფიკი 20.** უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი კინგის და მაგოლდას სამდონიანი მოდელის მიხედვით.




კოგნიტურ დომენში, სტუდენტები კერძო უნივერსიტეტიდან ნაწილდებიან ხუთ საფეხურზე. სადაც, უარყოფა 1.6%-ით არის მოცემული, ხოლო თავდაცვა 14.3 % ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მეხუთედი ანუ 20.1% სწორედ თავდაცვის საფეხურზე იმყოფება. მინიმიზაციის საფეხურზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გადანაწილება მეტია (31.3%), ხოლო კერძომი კი - 38.1%. მიმღებლობის საფეხურზე კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების დაახლოებით თანაბარი პროცენტული რაოდენობა იმყოფება (29 %-ის ფარგლებში). ადაპტაციის ფაზაში იმყოფება კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების 16.7% და სახელმწიფო უნივერსიტეტის 15.8%, ხოლო ინტეგრაციის საფეხურზე კი, კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების 0.8% და სახელმწიფო უნივერსიტეტების 1.5%. საერთო ჯამში, კოგნიტურ დომენში უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი და ძირითადი


## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

განსხვავება თავდაცვისა და მინიმიზაციის საფეხურებზე გადანაწილებაში ვლინდება. ამ გადანაწილებაში კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები მინიმიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებიან. რაც შეეხება გადანაწილებას სამგანზომილებიანი მოდელით, კოგნიტურ დომენში, სტუდენტები ორივე ტიპის უნივერსიტეტში სამივე დონეზე იმყოფებიან, სადაც საწყის ფაზაზე კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები ნაკლები სიხშირით არიან განაწილებულები (15.9%), სახელმწიფო (21.6%); შუალედურზე, კერძო - 66.7% და სახელმწიფო 60.6%, ხოლო მაღალზე კი, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები თანაბარი სიხშირით არიან წარმოდგენილები: სახელმწიფო (17.8%), კერძო (17.5%). მეტო დეტალისთვის იხილეთ გრაფიკები 21 და 22.

**გრაფიკი 21. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი ბენეტის მოდელის მიხედვით.**



**გრაფიკი 22. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი კინგის და მაგოლდას სამდონიანი მოდელის მიხედვით.**




ინტერპერსონალურ დომენში, როგორც კერძო ისე სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები გადანაწილებული არიან ბენეტის მოდელის ექვსივე საფეხურზე. საერთო ჯამში კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების მეტი წილი იმყოფება ინტერკულტურული მოწიფულობის უფრო საწყის ფაზებზე (უარყოფა 0.8%, თავდაცვა 8.7. %, მინიმიზაცია- 27.0%, მიმღებლობა 31.0%, ადაპტაცია 28.6% და ინტეგრაცია 4.0%). სახელმწიფო უნივერსიტეტში, ადაპტაციის საფეხურზე იმყოფება 31.7% სტუდენტი, ხოლო


## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ინტეგრაციის კი, 3.9%. ინტერპერსონალურ დომენში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მეტი სიხშირით არიან მოცემული მაღალ საფეხურზე (35.5%, კერძო 32.5%) და შესაბამისად, ნაკლებად არიან გადანაწილებულები შუალედურ (55.6%, კერძო 57.9%) და საწყის საფეხურზე (8.9%, კერძო 9.5%). საბოლოო ჯამში ინტერპერსონალური დომენის მიხედვით სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა ოდნავ უფრო მაღალია კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთა მოწიფულობასთან შედარებით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 23 და 24.

გრაფიკი 23. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი ბენეტის მოდელის მიხედვით.



გრაფიკი 24. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი კინგის და მაგოლდას სამდონიანი მოდელის მიხედვით.



ამრიგად, უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ფაზების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება. კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ უფრო მაღალი ინტერკულტურული მოწიფულობის დონე, აგრეთვე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ კოგნიტურ და ინტრაპერსონალურ დომენებში. ინტერპერსონალურო დომენის მიხედვით კი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ოდნავ უფრო მაღალ ინტერკულტურულ მოწიფულობას ამჟღავნებენ.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

### 5.5 საგანმანათლებლო ინტერვენციები და მათი გავლენა სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობაზე

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, გაგერკვია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტერვენციები ინტერკულტურული მოწიფულობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ არსებული ვითარების შესწავლის გარდა, გვაინტერესებდა ამ ინტერვენციების გავლენა ინტერკულტურულ მოწიფულობაზე და შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის მომზადება უნივერსიტეტებში სტრუქტურული, ინსტიტუციური და ინტერაქციული მრავალფეროვნების გასაზრდელად. შესაბამისად, კითხვარის მეშვეობით შემდეგი საკითხების გარკვევა ვცადეთ: (1) რამდენად არის ინკორპორირებული სასწავლო პროგრამებში მრავალფეროვნებასა და მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული კურსი: (ბ) რამდენად იყენებენ მრავალმხრივ და კულტურულად მრავალფეროვან პერსპექტივას ლექტორები საკითხების განხილვისას? გ) რამდენად ტარდება საუნივერსიტეტო დონეზე მრავალფეროვნების წამახალისებელი ღონისძიებები; (დ) რამდენად აქვთ სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში როგორც შიდა აგრეთვე საერთაშორისო მონაწილეობის შესაძლებლობა. გვაინტერესებდა ამ ოთხი განსხვავებული საგანმანათლებლო ინტერვენციის კორელაცია კვლევაში მონაწილე სტუდენტების ინტერკულტურულ მოწიფულობის დონესთან.

სასწავლო პროგრამებში მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის შესახებ კურსის ინტეგრაციასთან დაკავშირებით მხოლოდ კვლევაში მონაწილეთა 3% მიუთითებს, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა მსგავსი კურსის სწავლებას მის პროგრამაზე ვერ იხსენებს. ამ მიმართულებით კვლევაში მონაწილეებმა შემდეგი კურსები დაასახელეს: ცივილიზაცია, ეთნოფსიქოლოგია, ინტერკულტურალიზმი, კულტურათაშორისი ურთიერთობები, კულტურული ტურიზმი, კულტურა საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო რელიგიები, სოციოლოგია, ტოლერანტობა. კვლევაში მონაწილეთა დაბალი პროცენტის გამო, რომელთაც გასცეს კითხვაზე დადებითად პასუხი კურსის გავლის შესახებ, ინტერკულტურულ მოწიფულობაზე გავლენა აღარ შეგვისწავლია, რადგან საერთო სურათს ვერ შეცვლიდა. აქ ცალსახად გამოკვეთილია, რომ მრავალფეროვნების დაფასებაზე ორიენტირებული კურსის რესურსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოყენებული არ არის. ამ კონტექსტში საინტერესოა ზოგიერთი ინიციატივა, რომელიც სხვადასხვა უნივერსიტეტებში ასეთი კურსის დაწერვას გულისხმობს საბაკალავრო დონეზე. კარგი იქნება თუ ამ ინიციატივას უნივერსიტეტების დიდი ნაწილი შეუერთდება და ამავე დროს ეს კურსი იქნება სავალდებულო ნაცვლად არჩევითი საგნისა, როგორც დღეს არის დაგეგმილი სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კვლევის ფარგლებში გავარკვიეთ, ლექტორთა მიერ სწავლებისას მრავალფეროვანი კულტურული პერსპექტივის გამოყენებას სხვადასხვა თემის განხილვისა თუ შესწავლის პროცესში. ამ მიმართულებითაც კვლევაში მონაწილეთა 76.4% აღნიშნავს, რომ მათი ლექტორები არ იყენებენ მრავალმხრივ კულტურულ პერსპექტივებს სწავლებისას, ხოლო მხოლოდ 23.4% მიუთითებს ლექტორების მიერ მსგავსი მიდგომებით სწავლებას. თვალსაჩინოა, რომ ამ მიმართულებითაც მუშაობის

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

დიდი დიაპაზონია და ლექტორთა მხრიდან მრავალმხრივი პერსპექტივებით სწავლება კიდევ მეტად გააუმჯობესებს სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობას. ლექტორებთან მუშაობა და სასწავლო კურიკულუმებში მრავალფეროვნების ასახვა და ტრანსფორმაციული მიდგომების შესახებ ლექტორთა პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანი ინტერვენცია შესაძლოა იყოს. საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტთა აღქმა ღია კითხვაში, როცა ვთხოვთ მაგალითები მოეყვანათ ლექტორის მხრიდან მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კულტურული პერსპექტივების გამოყენების შესახებ. სტუდენტებმა შემდეგი ჩამონათვალი შემოგვთავაზეს:

„ადამიანის ძირითადი უფლებების განხილვისას საუბარი გვქონდა სხვადასხვა რელიგიაზე. საჯარო სამართალში გვესაუტრა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობების უფლებებზე“.

„განვიხილავდით აფხაზებისა და ოსების პერსპექტივებს“;

„განვიხილეთ ქალის სამოსის ტარება ისლამური და ბუდისტური პერსპექტივებიდან“;

„ლექტორი ცდილობდა სხვადასხვა კონფლიქტი და ენახებინა დაპირისპირებული ქვეყნების პერსპექტივებიდან, მაგ: ირანი\_ ამერიკის კონფლიქტი“;

„მაგალითად არქიტექტურაზე, როცა განვიხილავთ აზიურ თუ ეგვიპტურ არქიტექტურას აუცილებლად კუურებთ მათ კულტურული პერსპექტივით, ასევე შედარებით მარტივად აღვიძვამთ კონცეფციას;...მაგალითად აფხაზური და ქართულ საპირისპირო ნარატივები; განვიხილეთ ასევე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ორივე მხრიდან დანახული საკითხი“.


ჩამონათვალიდან თვალსაჩინოა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ხდება კონფლიქტის საკითხების მრავალმხრივი პერსპექტივით განხილვა ან ხორციელდება სასწავლო სილაბუსში განსხვავებული კულტურული წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის დამატება და განხილვა. კონკრეტულ მაგალითებშიც ნაკლებად იყო წარმოდგენილი ლექტორების მიერ ტრანსფორმაციული მიდგომებით სწავლების პრეცედენტები, რაც აგრეთვე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ მიმართულებით გასაწევი საქმიანობის პერსპექტივას.

კითხვების ნაწილი მოიცავდა ლექტორისა და სტუდენტის და ზოგადად სალექციო ინტერაქციისა და დინამიკის საკითხებს, რაც ინსტიტუციური მრავალფეროვნებისთვის უმნიშვნელოვანებია. დებულებას „პროფესორ-მასწავლებლები ერთნაირად ყურადღებიანი და კეთილმოსურნები არიან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის სტუდენტების მიმართ“ 0-5 დონიან სკალაზე, სადაც 0 - არარელევანტურია, 1 ყველაზე საწყისი კატეგორიულად არ დათანხმება, ხოლო 5 - ყველაზე მაღალ აბსოლუტურ დათანხმებას გულისხმობდა, მონაწილეთა 69.7 % ეთანხმება ამ დებულებას, 17% ნეიტრალური პოზიცია უჭირავს, ხოლო დაახლოებით 13 % მიიჩნევს, რომ საუნივერსიტეტო დონეზე ლექტორთა დამოკიდებულება განსხვავებულია სხვადასხვა სტუდენტთა ჯგუფისადმი კულტურული მახასიათებლების მიხედვით. მთლიანობაში სტუდენტთა 30%-ი ნაწილობრივ ან მთლიანად არ ეთანხმება ამ დებულებას, რაც, საბოლოო ჯამში, დამაფიქრებელი ფაქტორია საუნივერსიტეტო დონეზე თანასწორობის

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020


საკითხის უზრუნველსაყოფად და ლექტორთა ამ მიმართულებით პროფესიულად განსავითარებლად. აღნიშნულ დებულებაზე პასუხების დეტალური გადანაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.

**გრაფიკი 25:** პასუხების გადანაწილება დებულებაზე: „პროფესორ- მასწავლებლები ერთნაირად ყურადღებიანი და კუთილმოსურნები არიან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის სტუდენტების მიმართ“



ასევე, დავინტერესდით, რამდენად უწყობენ ხელს ლექტორები განსხვავებული კულტურული თუ სხვა ტიპის პერსპექტივების წარმოჩენას სტუმრების მოწვევით და საკითხების განსხვავებული პერსპექტივით განხილვით. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მონაწილეთა 36 % აცხადებს, რომ მსგავსი პრაქტიკა არსებობს უნივერსიტეტებში, 23 % ნეიტრალური პოზიცია უჭირავს, ხოლო 40% მონაწილე არ ეთანხმება სხვადასხვა კატეგორიულობით აღნიშნულ დებულებას. ამ კითხვაზე პასუხების გადანაწილებაც ცალსახად მიუთითებს ამ პოზიტიური პრაქტიკის გამოუყენებლობას საუნივერსიტეტო დონეზე, რომლის დანერგვის პირობებში, შესაძლებელი იქნება კიდევ უფრო მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო გარემოს მიღწევა და შესაბამისად სტუდენტთა უფრო მაღალი ინტერკულტურული მოწიფულობის მიღწევა.

**გრაფიკი 26:** „ლექტორებს ლექციებზე სასაუბროდ მოჰყავთ განსხვავებული პერსპექტივის, წარმომავლობისა და ხედვის ადამიანები მოწვეულ სტუმრად“.




ამავე მიმართულებით, კითხვები მოიცავდა ლექტორის მიერ სტუდენტების მხრიდან გამოთქმული განსხვავებული კულტურული პერსპექტივით დანახული მოსაზრებების

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

მიმღებლობას, დისკუსიის აგებას ამ საკითხებზე და მრავალმხრივი შეხედულებებით ლექციების წარმართვას. ამ თვალსაზრისით არსებულ დისკუსიის პრაქტიკას ცალსახად აღიარებს სტუდენტთა 46%, ნეიტრალურ პოზიცია უჭირავს 28%-ს, ხოლო მსგავსი პრაქტიკის არსებობას სხვადასხვა კატეგორიულობით უარყოფს კვლევაში მონაწილეთა 25%.

**გრაფიკი 27: „ლექტორები ცდილობენ, სტუდენტების შეხედულებებს დაუპირისპირონ განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრებები და ამ ფორმატში წარმართონ ლექციის დინამიკა“:**




რაც შეეხება ლექტორის მხრიდან მრავალმხრივი პერსპექტივის გამოყენების კორელაციას ინტერკულტურულ მგრძნობელობასთან - ამ თვალსაზრისით კვლევამ აჩვენა დადებითი კორელაცია 0.05 სტატისტიკური მნიშვნელობით, რაც ადასტურებს, რომ მსგავსი პრაქტიკები ხელს უწყობს სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობის ზრდას.

მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, გახლდათ საუნივერსიტეტო ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას და, ზოგადად, მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ინტერკულტურული მოწიფულობის განსავითარებლად. შეკითხვებზე, რომლებიც ეხებოდა შეხვედრებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ან საქართველოს კულტურული მრავალფეროვნებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, კვლევაში მონაწილეთა დაახლოებით 39%-მა უპასუხა, რომ ასეთი შეხვედრები იმართება საკმაოდ ხშირად, 2% ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და, შესაბამისად, ამ დებულების სიხშირე ნაკლებად მიაჩნია, ხოლო მონაწილეთა დაახლოებით 30% მიიჩნევს, რომ ასეთი ღონისძიებები საუნივერსიტეტო დონეზე ან საერთოდ არ იმართება ან ძალიან იშვიათად. ამ მონაცემითაც დასტურდება, რომ საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების შესახებ საუნივერსიტეტო დონეზე ღონისძიებების გამართვის ინტენსივობის გაზრდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია და


## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

სამომავლო საქმიანობა სხვადასხვა პროექტების თუ PITA-ს პროგრამის ახალგაზრდული ცენტრების სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს, რასაც უნივერსიტეტებმაც უნდა შეუწყონ მაქსიმალურად ხელი (დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკები 28 და 29).

**გრაფიკი 28: „უნივერსიტეტში ტარდება ღონისძიებები, რომელიც ასახვს საქართველოს მრავალეთნიკურ კულტურას“.**




**გრაფიკი 29: „უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლურებთან შეხვედრები“.**



ამავე მიმართულებით დავინტერესდით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საუნივერსიტეტო და სოციალური ინტეგრაციისკენ მიმართული კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების ჩატარების ინტენსივობით. ასეთი ღონისძიებების მაღალი ინტენსივობით ჩატარებაზე კვლევაში მონაწილეთა დაახლოებით 30% მიუთითებს, 26,4% ნეიტრალურ პოზიციას ანუ ინტენსივობას აფიქსირებს, ხოლო დაახლოებით 44% საწყის ინტენსივობაზე ანუ ამ ტიპის ღონისძიებების ნაკლებობაზე მიუთითებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა მიმართ პოლიტიკა მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დონეზე, ყველა წამყვან უნივერსიტეტს მსოფლიოში კარგად აქვს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ამ მიმართულებით როგორც სასწავლო, ასევე საინტეგრაციო პოლიტიკა. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ მიმართულებით საკმაოდ ფართო და ბევრი სამუშაოა განსახორციელებელი.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

გრაფიკი 30: „უნივერსიტეტში ტარდება კულტურული და/ან სპორტული ღონისძიებები  
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით“.



კვლევის ფარგლებში აგრეთვე გვაინტერესებდა საუნივერსიტეტო კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების გავლენის შეფასება სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ის სტუდენტები, რომლებიც მიუთითებენ თავიანთ უნივერსიტეტებში ამ ტიპის ღონისძიებების მაღალ ინტენსივობას, მაღალი ინტერკულტურული მოწიფულობით გამოირჩევიან, ხოლო იმ უნივერსიტეტებში, სადაც ასეთი ღონისძიებების სიმწირე იკვეთება, ეს ფაქტორი განაპირობებს სტუდენტთა შედარებით დაბალი დონის ინტერკულტურულ მოწიფულობას. პოზიტიური კორელაცია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ინტენსივობასა და სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 0.01 მნიშვნელობის დონეზე.

მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კვლევის ფარგლებში ამ მიმართულებით შევისწავლეთ, გაცვლითი პროგრამების გავლენაა სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობაზე. ამ თვალსაზრისით კვლევამ აჩვენა, რომ იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული გაცვლით პროგრამებში და, შესაბამისად, შეხება ჰქონდათ განსხვავებულ კულტურულ გარემოსთან და კულტურული მახასიათებლების ადამიანებთან, მალიან მცირე აღმოჩნდა. შესაბამისად, გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა სიმცირის გამო, მონაცემთა ანალიზი არ მოგვცემდა ვალიდურ შედეგებს. ამ კომპონენტის გავლენის გასაანალიზებლად დამატებითი კვლევის წარმოებაა შესაძლებელი და მიზანშეწონილია მხოლოდ იმ სტუდენტთა ცალკე გამოკითხვა, ვისაც გაცვლით პროგრამებში აქვთ მონაწილეობა მიღებული და შემდგომ ამ ორი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მონაცემების შედარებითი ანალიზით, შესაძლოა, ამ ფაქტორის გავლენის დადგენაც.

### დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა უდიდესი ნაწილი ინტერკულტურული მოწიფულობის შუალედურ საფეხურზეა გადანაწილებული, თუმცა გვვდებიან საწყის და მაღალ დონეზე მყოფი სტუდენტებიც. გოგონების

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

ინტერკულტურული მოწიფულობა ოდნავ უფრო მაღალია ბიჭებთან შედარებით, ასაკს და სწავლის წელს აქვს დადებითი გავლენა ინტერკულტურული მოწიფულობის ზრდაზე. კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა შორის მკვეთრი განსხვავება არ ფიქსირდება ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისით, თუმცა კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა ოდნავ მაღალია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შედარებით. ისეთი ფაქტორები და ინტერვენციები, როგორებიცაა მრავალფეროვნების სპეციალური კურსი, უნივერსიტეტში და / ან უნივერსიტეტთაშორისი სტაჟირების ან გაცვლითი პროგრამები, საზღვარგარეთ სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, საუნივერსიტეტო ღონისძიებები, ლექტორთა მიერ მულტიკულტურული მიდგომების ინტეგრაცია სწავლების პროცესში, განაპირობებს სტუდენტთა მაღალ ინტერკულტურულ მოწიფულობას. . კვლევამ აჩვენა, რომ ზემოთმითითებული ინტერვენციები არ არის სრულად გამოყენებული ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020


## თავი მექვსე

### ინტერკულტურული მოწიფულობის ცალკეული დებულებების ანალიზი

კვლევის ფარგლებში სტუდენტთა ინტერკულტურულ მოწიფულობის შესწავლასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინტერვენციების გავლენის გარდა, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ კითხვარში მოცემულ ცალკეულ დებულებებზე სტუდენტთა პასუხების გადანაწილება. საინტერესოა, რომ სტუდენტები შეკითხვას საკუთარი კულტურის მართებულობასა და სხვა კულტურებთან შედარებით სიმდიდრეზე 5-ჯულიან სისტემაში საშუალო 2.52 ქულით აფასებენ, თუმცა, ამავდროულად, დებულებისათვის „არსებობენ ერები, რომელთაც კულტურა არ გააჩნიათ“ - საშუალო ქულა 1.88-ია.

ქვემოთ მოცემულია ორ დებულებაზე სტუდენტების პასუხების სიხშირული გადანაწილება, დებულებაზე: „როცა ვამჩნევ კულტურულ განსხვავებებს, ვხვდები, რომ ჩემი კულტურა ყველაზე მართებულია“, სტუდენტების დაახლოებით 30% არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება, ხოლო სტუდენტების 26% ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება. მეორე მხრივ, სტუდენტების 70%-მდე მიიჩნევს, რომ არ არსებობენ ისეთი ერები, „რომელთაც კულტურა არ გააჩნიათ“. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ, რომ სტუდენტების სამ მეოთხედზე ცოტა ნაკლები აღიარებს კულტურული იდენტობის მნიშვნელობას ყველა ერთან მიმართებით. თუმცა, კულტურული განსხვავებების ანალიზის ფონზე, სტუდენტები საკუთარ კულტურას ყველაზე მართებულად მიიჩნევენ.

#### გრაფიკი 31: სტუდენტების პასუხების შედარებითი ანალიზი კულტურის ღირებულებასთან დაკავშირებით




მეორე მხრივ, სტუდენტები ქართული კულტურის შედარებისას სხვა კულტურებთან, მეტწილად თანხმდებიან ქართული კულტურის გამორჩეულ სიმდიდრეზე და 56%-ზე მეტი ამ დებულებას ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება. გარდა ამისა, დებულებაში, რომელიც სხვა კულტურის პერსპექტივიდან განიხილავს ქართულ კულტურას,

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

სტუდენტების სიხშირე, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „სხვა კულტურა ქართულთან ახლოს ვერ მივა“, მეოთხედზე ნაკლებია, ხოლო 15.5% არარელევანტურად მიიჩნევს დებულებას.

**გრაფიკი 32: სტუდენტების შედარებითი ანალიზი ქართული კულტურის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით**



შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ კულტურულ იდენტობაზე, სადაც საკუთარი კულტურა პრიორიტეტულია და განსაკუთრებით მდიდარი სტუდენტების დიდ ნაწილში. თუმცა, თუ ქართული კულტურა შედარებულია სხვა კულტურებს და საუბარია მის უდავო უპირატესობაზე, სტუდენტები მნიშვნელოვნად ნაკლები სიხშირით ეთანხმებიან დებულებას.

რამდენიმე დებულებაში სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ საკუთარი დამოკიდებულებები გადაწყვეტილების მიღებისა და საკითხის მხოლოდ საკუთარი კულტურული პერსპექტივიდან დანახვასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ დაგვენახა, რამდენად ეთანხმებიან სტუდენტები დებულებას თითოეული ადამიანის ქმედების უკან კულტურული მახასიათებლების გავლენასთან დაკავშირებით.

სტუდენტების თითქმის 80% აცხადებს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საკითხს სხვადასხვა პერსპექტივიდან აანალიზებს. 64%-ზე მეტი კი აცნობიერებს, რომ ყოველი ინდივიდის ქმედების უკან კულტურული საფუძველი არსებობს. 23%-ზე მეტი კი, ამ დებულებას არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება. საინტერესოა, რომ სტუდენტების 51%-ზე მეტი სრულიად არ ეთანხმება ან არ ეთანხმება დებულებას ნებისმიერი საკითხის მხოლოდ საკუთარი კულტურული პერსპექტივიდან დანახვასთან შესახებ, 18%-ზე ცოტა მეტი კი, ამ დებულებას არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება.


ამრიგად, შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს გააჩნია მაღალი ცნობიერება სხვათა კულტურული პერსპექტივების არსებობის შესახებ, და საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას, ამ პერსპექტივებს მხედველობაში იღებს.

კითხვარში ასევე იყო მოცემული კითხვები, რომლებიც სტუდენტების დამოკიდებულებებს ეხებოდა კონფლიქტებთან დაკავშირებით. ერთი დებულება სტუდენტების დამოკიდებულებას არკვევს იმ კონფლიქტის მიმართ, რომლებიც

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020


უშუალოდ უკავშირდება საქართველოს. სტუდენტთა მესამედი, დებულებას, „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აფხაზთა სეპარატისტული მისწრაფებებია დამნაშავე“ არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება, მეოთხედი კი ეთანხმება და აბსოლუტურად ეთანხმება. დებულებას, „მე ვერ განვიხილავ ოსურ-ქართული კონფლიქტს ოსი ხალხის პერსპექტივიდან“ სტუდენტების 30% ასევე არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება, ხოლო დაახლოებით 30% კი - ეთანხმება და აბსოლუტურად ეთანხმება,

**გრაფიკი 33: დებულებები კონფლიქტთან მიმართებით, რომელიც საქართველოსთან უშუალო კავშირშია**



მეორე მხრივ კი, სტუდენტების 61%-ზე მეტი ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება დებულებას კონფლიქტის მონაწილე მხარეების სხვადასხვა პერსპექტივის ანალიზის აუცილებლობის შესახებ. დებულებას, რომ კონფლიქტის მთავარი წყარო უმეტესად კულტურული განსხვავებებია, სტუდენტების თითქმის 30% არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება, ხოლო 22%-ზე მეტი - ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება. ამავდროულად, არ ეთანხმება დებულებას სხვადასხვა ხარისხით გამოკითხულთა 38%-ზე მეტი.

**გრაფიკი 34: დებულებები კონფლიქტთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებზე ზოგადად**




## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

სტუდენტებისათვის სირთულეს წარმოადგენს მათთან უშუალოდ დაკავშირებული კონფლიქტების განხილვა ზოგად და ობიექტურ ჭრილში. თუმცა, ისინი ამას კონფლიქტის ზოგადი შეფასების შემთხვევაში მეტად ახერხებენ, და მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. კონფლიქტში ჩართული მხარეების პერსპექტივების ანალიზს სტუდენტები ზოგადად სწორ პოზიციად აღიქვამენ კონკრეტული შემთხვევისგან განყენებულად.

სტუდენტების კითხვარში ასევე გაკეთდა აქცენტი რელიგიური რწმენის აღქმასა და რელიგიის მსახურთა ავტორიტეტთან დამოკიდებულებაზე. დებულებას: „სამყაროს აღქმა განპირობებულია ჩემი რელიგიური მოძღვრის მოსაზრებებით“ - სტუდენტების დაახლოებით 23%, არც ეთანხმება და არც არ ეთანხმება. ხოლო დაახლოებით 24% კი ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება. დებულებას არ ეთანხმება სხვადასხვა ხარისხით სტუდენტების დაახლოებით 42%. რაც შეეხება ქადაგებებში მოსმენილი მოსაზრებების მიმართ დამოკიდებულებას, სტუდენტების თითქმის 30% არასდროს აყენებს მოსმენილ მოსაზრებებს კითხვის ნიშნის ქვეშ. 47% კი, არ ეთანხმება დებულებას. შესაბამისად, ორივე დებულება აჩვენებს მეტ-ნაკლებად იდენტურ დამოკიდებულებას, სადაც სტუდენტების დაახლოებით მეტყოფი ნეიტრალურ დამოკიდებულებას ავლენს, ხოლო 40-47% კი, რელიგიური მრწამსის და ქადაგებების გავლენას საკუთარ აღქმაზე უარყოფს.

გრაფიკი 35: რელიგიური სკითხების მიმართ დამოკიდებულებები




დებულებაზე „ჩემს გადაწყვეტილებებში ვხელმძღვანელობ ავტორიტეტების მოსაზრებით“ მეტნაკლებად იგივე სიხშირული გადანაწილება ვლინდება. დებულებებში მოცემული გადანაწილების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სტუდენტების უფრო დიდი ნაწილი ნაკლებად აფუძნებს საკუთარ ხედვებს და აღქმებს ავტორიტეტულ და დომინანტურ მოსაზრებებსა და ფილოსოფიებს.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ამასთან, დებულებებში განსხვავებული რელიგიისა და სულიერების მქონე ადამიანების შესახებ, სტუდენტების თითქმის 90% მაღალ ან ძალიან მაღალ მიმღებლობას აფიქსირებს. მხოლოდ სტუდენტების 4% საუბრობს სხვადასხვა ხარისხით მიუღებლობაზე, რაც იძლევა იმის ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მის მიმართ.

რაც შეეხება სტუდენტების დამოკიდებულებას ეთნიკური უმცირესობებისადმი, დებულებას „საქართველო ეთნიკურად ერთფეროვანი რომ იყოს, ბევრად წარმატებულ ქვეყანას ავაშენებდი“, მხოლოდ 14% იზიარებს, ხოლო 22% კი ნეიტრალურია. შესაბამისად, სტუდენტების 64% სხვადასხვა ხარისხით არ ეთანხმება დებულებას. კიდევ ერთ დებულებაში, გამოკითხულთა 66% იზიარებს ან აბსოლუტურად იზიარებს მოსაზრებას, რომ „საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ადამიანები საქართველოს თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან“ და სტუდენტების დაახლოებით 16% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ამ კონტექსტში საინტერესოა კიდევ ერთი დებულება: „სახელმწიფო ენის არცოდნე საქართველოს მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს ყველა უფლება, რაც ქართული ენის მცოდნე მოქალაქეს გააჩნია“, რომელსაც გამოკითხულთა ნახევარი არ ეთანხმება. 19% ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და დაახლოებით 29% ეთანხმება. შესაბამისად შეიძლება ვისაუბროთ იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც სტუდენტები სახელმწიფო ენის ფლობას ანიჭებენ და მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის იდეას უმრავლესობა იზიარებს და საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას კი მისი სახელმწიფოებრივი შენების კონტექსტში განიხილავენ, საქართველოს მოქალაქეების სახელმწიფო ენის არცოდნა გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედის დამოკიდებულებას სხვა პერსპექტივით აჩვენებს.

### გრაფიკი 36: დებულებები ეთნიკური ჯგუფების შესახებ



## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---


ზოგადი კულტურული მახასიათებლების შესახებ საკუთარ მაღალ ცნობიერებას ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება 65.5%. მაგრამ საქართველოში მცხოვრები კულტურული ჯგუფების შესახებ უფრო კონკრეტულ დებულებაზე „მე შემიძლია ავხსნა საქართველოში არსებული კულტურული განსხვავებები, რადგან კარგად ვიცნობ სხვადასხვა კულტურული ჯგუფების მახასიათებლებს“, სტუდენტების მხოლოდ 35% ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტების ნაწილი არ მიიჩნევს საკუთარ ცოდნას საქართველოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების შესახებ საკმარისად, რაც საკუთარი კულტურული ცნობიერების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ.

ორი ზოგადი დამოკიდებულების გამომხატველ დებულებაში კოგნიტური დომენიდან იკვეთება, რომ საერთო ჯამში სტუდენტების 60%-ზე მეტი თვლის, რომ კარგად ან ძალიან კარგად იცნობს ადამიანების ქმედებების უკან არსებულ ინდივიდუალურ კულტურულ მახასიათებლებს, ხოლო 70% კი - გლობალურ პოლიტიკაზე ფიქრისას, აცნობიერებს სხვადასხვა ერისა და კულტურის ადამიანების განსხვავებულ პერსპექტივებს გლობალიზაციის ეპოქაში. დებულებების შეფასებების მსგავსი დინამიკა აჩვენებს, რომ სტუდენტების უმრავლესობისათვის კულტურული თავისებურებების, ეთნიკური, რელიგიური იდენტობის საკითხები საკმაოდ მნიშვნელოვანია და კარგად განსაზღვრული შეხედულებები გააჩნიათ ამ საკითხებთან მიმართებით.

რაც შეეხება სტუდენტების ინტრაპერსონალურ აღქმებს, გამოკითხვა აჩვენებს, რომ მათი 80%-ზე მეტი ემპათიურია ჩაგვრის მიმართ ზოგადად, მიუხედავად ჩაგვრის ობიექტის ეთნიკური, რელიგიური თუ მოქალაქეობრივი სტატუსისა. ამ ფონზე, ერთადერთი განსხვავება, რომლის მიმართაც შედარებით ნაკლები სტუდენტი (71.5%) გამოხატავს მაღალ ან ძალიან მაღალ თანაგრძნობას, არის განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში თითქმის სამი-მეოთხედი გამოხატავს მაღალ ან ძალიან მაღალ თანაგრძნობას სხვა განსხვავებული ნიშნის მატარებელ პირთა დისკრიმინაციის მიმართ თანაგრძნობის მაღალ შეფასებებს შორის, სწორედ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის დისკრიმინაციის შემთხვევაში გამოხატავენ ყველაზე ნაკლებად თანაგრძნობას გამოკითხულები.


## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

**გრაფიკი 37: დებულებები დისკრიმინირებული ჯგუფების მიმართ ემპათიის შესახებ**



დებულებას „განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეებმა უნდა დაივიწყონ საკუთარი კულტურა, რათა გახდნენ საქართველოს სრულყოფილი მოქალაქეები“ მხოლოდ 11.6% ეთანხმება, ხოლო 14% ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს. შესაბამისად, სხვადასხვა ხარისხით არ ეთანხმება 73%-ზე მეტი. ამ დამოკიდებულებასთან მიმართებით, კვლავ საინტერესოა ზემოთ განხილული დებულება, რომელიც სახელმწიფო ენის ფლობის მიხედვით მოქალაქეების უფლებების დაყოფას ეხებოდა, და რომელსაც სტუდენტების თითქმის 29% ეთანხმებოდა და ნახევარი არ ეთანხმებოდა. ამ ორი დებულების ანალიზი კვლავ ხაზს უსვამს, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი, რომელსაც კულტურული და რელიგიური განსხვავებების მიმართ პოზიტიური განწყობა და მაღალი მიმღებლობა გააჩნიათ, დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფო ენის ფლობის აუცილებლობას.

**გრაფიკი 38: დებულებები კულტურული და რელიგიური განსხვავებების და მოქალაქეობრივი უფლებების შესახებ**



## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ის, რომ სტუდენტები მეტწილად პოზიტიურად არიან განწყობილები კულტურული და რელიგიური განსხვავებების მიმართ, კარგად იკვეთება დებულებებში რელიგიური კუთვნილებების მიმართ დამოკიდებულების გამოხატვისას. განსხვავებული რელიგიისა და სულიერების მქონე ადამიანების მიმართ მაღალ და ძალიან მაღალ მიმღებლობას სტუდენტების დაახლოებით 80% აფიქსირებს სხვადასხვა დებულებაში რელიგიების მიმართ დამოკიდებულების შესახებ. შესაბამისად, სტუდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას მაღალი მიმღებლობა გააჩნია სხვადასხვა რელიგიის მიმართ და ასევე პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს განსხვავებული რელიგიებისადმი.

სტუდენტების დამოკიდებულება განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის ადამიანების მიმართ მთლიანობაში მეტწილად პოზიტიურია, თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის დამოკიდებულებებზე კეთდება აქცენტი, იცვლება მათი შეფასებაც. დებულებას „მე მსიამოვნებს განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიის ადამიანების კულტურის შესაბამისად მოქმედება მათ გარემოცვაში“, 46%-ზე მეტი სტუდენტი ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება, ხოლო მესამედი სტუდენტები კი ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებენ. თუმცა, დებულებას „მე მსიამოვნებს, როდესაც განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიის ადამიანები საკუთარ კულტურას მაცნობენ“, სტუდენტების თითქმის 44% აცხადებს, რომ ძალიან სიამოვნებს, ხოლო 37%-ზე მეტს სიამოვნებს სხვა კულტურების გაცნობა. რაც შეეხება დებულებას, „მე მსიამოვნებს განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის ადამიანებთან ინტერაქცია“ 35%- აბსოლუტურად ეთანხმება, ხოლო 33%-ზე მეტი კი ეთანხმება. ამ სამი დებულებიდან, ყველაზე მეტი სტუდენტი ნეიტრალურ პოზიციას ირჩევს ან **აცხადებს, რომ არ ეთანხმება პირველ დებულებას, სადაც საუბარია განსხვავებული ეთნოსის და რელიგიის ადამიანების კულტურის შესაბამისი მოქმედების შესახებ.** ამ სხვადასხვა დებულების ერთად განხილვის შედეგად, შეიძლება დავუშვათ, რომ სტუდენტების დიდი უმრავლესობა სიამოვნებით ეზიარება სხვათა კულტურებს და სიამოვნებს სხვა კულტურებთან უშუალო შეხება, თუმცა, უფრო ნაკლებისთვის არის სასიამოვნო სხვა კულტურების შესაბამისად წარმართოს საკუთარი ქცევები და მოქმედებები, თუნდაც კონკრეტულ სიტუაციაში.

დებულებების ამგვარი შეფასება საინტერესოა დებულებასთან „მე არ მაშინებს განსხვავებული პერსპექტივები და მოსაზრებები“ მიმართებითაც, რომელსაც სტუდენტების 87%-ზე მეტი ეთანხმება. დებულებას, „მე გახსნილი ვარ ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისადმი, რაც არ უნდა განსხვავებული ცხოვრების სტილს მისდევდეს“, 35%-ზე აბსოლუტურად ეთანხმება, ხოლო 28.5% ეთანხმება. ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს თითქმის 20%, ხოლო სხვადასხვა ხარისხით არ ეთანხმება დაახლოებით 16%. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ საკუთარ ცხოვრების სტილსა და კულტურულ მახასიათებლებზე პირდაპირი გავლენის მოხდენისათვის უფრო

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

ნაკლებ სტუდენტს გააჩნია მზაობა, ვიდრე ზოგადი სიმპათია, სოლიდარობა, ემპათია, მხარდაჭერა და მიმღებლობა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ.

ქვემოთ მოცემულია მონაცემები ინტერპერსონალური დომენის დებულებებზე სტუდენტების პასუხების სტატისტიკური საშუალო და სტანდარტული გადახრის მიხედვით. ცხრილში კარგად იკვეთება, რომ სტუდენტების პასუხები სამ და ოთხ ქულას შორის ამპლიტუდაში სხვადასხვა საშუალოთი ნაწილდება. ამასთან, დებულებები, რომელიც განსაკუთრებით კატეგორიულია და გამყარებულია სიტყვებით „არასდროს“, „უფრო საწყისი საშუალოთი და მაღალი სტანდარტული გადახრით ხასიათდება, ვიდრე ის დებულებები, რომლებიც საკუთარი მოსაზრების, რწმენის და პრინციპების დაცვას და ჩამოყალიბებას უკავშირდება.

### **ცხრილი #11: სტუდენტთა პასუხების საშუალო და სტანდარტული გადახრა ინტერპერსონალური დომენის დებულებებისთვის**

დებულებები	საშუალო	სტანდარტული გადახრა
მე მაქვს ჩემი განსაზღვრული შეხედულებები ცხოვრებაში, რომელსაც არასდროს გადავხედავ	3.13	1.445
მე მზად ვარ დავიცვა ჩემი მოსაზრებები ბოლომდე, თუკი განსხვავებულ მოსაზრებებს ვაწყდები	3.94	1.103
ჩემი რწმენა აყალიბებს ჩემს პრინციპებს	3.44	1.336
ჩემს რწმენასა და პრინციპებს არასოდეს გადავხედავ და გადავუხვევ	3.21	1.349
მე ბევრს ვფიქრობ ცხოვრების ფილოსოფიაზე და რამდენადაც მეტს ვფიქრობ იმდენად იცვლება ჩემი დამოკიდებულებები	3.38	1.325


ინტერპერსონალური მგრძნობელობის დომენში დებულებების უმრავლესობა, ერთი მხრივ, სტუდენტების საკუთარი და საზოგადოების ჯგუფებისა და წევრების მნიშვნელობის აღქმასა და მათ შორის ბალანსზე იყო ორიენტირებული, ხოლო მეორე მხრივ, კი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციების და პასუხისმგებლობების მიმართ დამოკიდებულებებს იკვლევდა ინტერკულტურული მოწიფულობის თვალსაზრისით.

ქვემოთ მოცემული დებულებები, რომლებიც პირადი და სხვათა სურვილებისა და უფლებების ურთიერთმიმართებაზეა ორიენტირებული, აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 22.5% სხვისი საჭიროებების საკუთარ სურვილებზე მაღლა დაყენებისთვის მზაობას ეთანხმება. 35%-ზე მეტი კი ნეიტრალურია. შესაბამისად, დახლოებით მესამედი, სხვისი საჭიროებების საკუთარ სურვილებზე მაღლა დაყენებისათვის მზაობას არ ეთანხმება. თითქმის ორჯერ მეტია იმ სტუდენტების რაოდენობა, ვინც ეთანხმება ან აბსოლუტურად

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ეთანხმება დებულებას „ჩემი ცხოვრების კრედოა საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმის კეთება და არა პირადი კეთილდღეობა“ (42.5%). ნეიტრალურად აფასებს დებულებას სტუდენტების 37%. შესაბამისად, 20%-მდე სტუდენტი არ ეთანხმება დებულებას. დებულებას, „სხვისი უფლებების დაცვა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია“ სტუდენტების თითქმის 70% ეთანხმება და ძალიან მცირე ნაწილი კი არ ეთანხმება (7%). დებულებას „მე მზად ვარ სხვისი უფლებები დავიცვა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმები თუ არა მის მსოფლმხედველობას და ცხოვრების წესს“, სტუდენტების 52% ეთანხმება და 18%-ზე მეტი არ ეთანხმება.

### გრაფიკი 39: საკუთარი და სხვისი უფლებებისა და საჭიროებების შესახებ




საინტერესოა, რომ ორივე დებულებაში საუბარია სხვათა უფლებების დაცვისათვის მზაობაზე. თუმცა, პირველ შეთხვევაში არ ზუსტდება დასაცავი ინდივიდის/ჯგუფების პროფილი. მეორე დებულებაში საუბარია იმ ადამიანების უფლებების დაცვაზე, ვისი მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი განსხვავებულია გამოკითხულთა მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისგან.. ამ შემთხვევაშიც, თუ დებულება ზოგადია და ზოგადჰუმანურ პრინციპებთან დამოკიდებულებებს ეხება, მეტი სტუდენტი გამოხატავს ამ პრინციპების დაცვისათვის მზაობას.

დებულებას „მე ვალდებულების გარეშე ხშირად ვასრულებ სხვადასხვა სამუშაოს, რაც ჩემს სამეზობლოს, თემს, უბანს და ქალაქს სჭირდება“, სხვადასხვა ინტენსივობით არ ეთანხმება 18%-ზე მეტი და ეთანხმება თითქმის 57%. თუმცა, მეორე მხრივ, დებულებას „მოხალისეობა არ არის ჩემთვის პრიორიტეტი“ ასევე ეთანხმება თითქმის მეოთხედი. შესაბამისად, ნეგატიური ფორმით წარმოდგენილი დებულება შესაძლოა, დამაბნეველ ეფექტს ახდენს იმ სტუდენტებზე, რომლებიც ფორმალური ვალდებულებების გარეშეც გამოხატავენ მზაობას საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

გრაფიკი 40: დებულებები მოხალისეობისათვის მზაობის შესახებ



დებულებაში „განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანთან მეგობრობა ჩემთვის საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს სხვა მეგობრებთან თუ თანაკურსელებთან ურთიერთობისას“, სტუდენტების 10% ეთანხმება, თუმცა მეოთხედზე მეტი არ მიიჩნევს თავად კითხვასაც კი რელევანტურად, და 47% კი- არ ეთანხმება. გამოკითხულთა დაახლოებით ამდენივე რაოდენობა, 46% კი ადასტურებს, რომ მეგობრობს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან.

ამასთან, სტუდენტების 60%-ზე მეტი არ ხედავს პრობლემას სხვა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის სტუდენტებთან ერთად ბინის ქირაობისა და თანაცხოვრების შესაძლებლობაში. თითქმის 20% კი, თავს იკავებს გარკვეული პასუხისმგან და ნეიტრალურ პოზიციას იჩენს. მეორე მხრივ, დებულებას „განსხვავებული რელიგიის რიტუალის მოსმენისა თუ დანახვისას ვცდილობ მაქსიმალურად სწრაფად გავეცალო რიტუალის ჩატარების ადგილს“, თითქმის 15% ეთანხმება, ხოლო 23% კი, ცალსახა პასუხისმგან თავს იკავებს. 18%-ზე მეტისათვის დებულება არარელევანტურია, თითქმის მესამედი კი არ ეთანხმება. ამ ორ დებულებაში ისაა საინტერესო, რომ დაახლოებით ერთნაირია იმ სტუდენტების წილი, რომლებიც განსხვავებული რიტუალის ნახვის/მოსმენის შემთხვევაში სწრაფად გაცლას ამჯობინებენ და რომლებიც განსხვავებული კულტურული მონაცემების სტუდენტებთან ერთად ბინის ქირაობის შესაძლებლობას არ უშვებენ.

დებულებებში ასევე მოცემულია სტუდენტების მეგობრების პროფილთან დაკავშირებული საკითხები, სადაც გამოკვეთილად ჩანს, რომ სტუდენტების 55%-ზე მეტს არაერთი მეგობარი ჰყავს საზღვარგარეთ, 45%-ზე მეტს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მეგობარი ჰყავს. რაც შეეხება განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმოშობის მეგობრებს, 30%-ზე მეტი ადასტურებს მრავალფეროვანი წარმოშობის მეგობრების ყოლას. ეს დებულება საინტერესო იმით არის, რომ დანარჩენი დებულებებიდან განსხვავებით მეგობრების შესახებ, ამ დებულებაში საუბარია

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

მეგობრების უმრავლესობაზე, რომელიც განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმოშობისაა. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების პოპულაციის დიდი ნაწილი საკმაოდ ჰიმოგენურია იმისათვის, რომ მეგობრების უმრავლესობა განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმოშობის ჰყავდეთ სტუდენტებს, თითქმის მესამედი პასუხობს კითხვას დადებითად.

ინტერპერსონალური დომენის სხვა დებულებებზე პასუხები არაერთგვაროვნად არის გადანაწილებული. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად იკვეთება, რომ მრავალფეროვანი კულტურული ნიშნის ადამიანებთან ხშირი ურთიერთობა და მუდმივი კონტაქტი უცხოელებთან მაღალი საშუალოთი საშუალო 3..42 – 3.44, ხასიათდება. უცხოელებთან ურთიერთობისა და მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩვენების საშუალო კიდევ უფრო მაღალია (4.07) და სტანდარტული გადახრაც მნიშვნელოვნად ნაკლები. რაც შეეხება აფხაზ და ოს ადამიანებთან ინტეგრაციის მცდელობას მათი პერსპექტივების გასარკვევად, დებულების სტანდარტული საშუალო დაბალია და 2.47 შეადგენს მაღალი სტანდარტული გადახრით. პასუხების ასეთი განაწილება თანხვედრაშია კონფლიქტის საკითხებთან მიმართებით მოცემულ დებულებასთან ოს და აფხაზთა სეპარატისტულ მისწრაფებებთან დაკავშირებით და აჩვენებს სტუდენტთა ნაკლებ მგრძნობელობას იმ ეთნიკურ ჯგუფებთან, რომლებიც საქართველოში კონფლიქტს უკავშირდებიან.

### ცხრილი #12: ინტერპერსონალური დომენის დებულებები


დებულება	სტატისტიკური საშუალო	სტანდარტული გადახრა
მე ხშირად მაქვს ურთიერთობა განსხვავებული ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური წარმომავლობის ადამიანებთან;	3.44	1.295
მე მიზანმიმართულად ვცდილობ ინტერაქცია მქონდეს აფხაზ და ოს ადამიანებთან, რათა კარგად გავიგო მათი პერსპექტივა;	2.47	1.534
მე ვცდილობ მუდმივი კონტაქტი მქონდეს უცხოელებთან რათა გავიგო მათი კულტურული და პოლიტიკური შეხედულებები;	3.42	1.327
როცა საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს ვხვდები ვცდილობ მათთან ურთიერთობას და პოზიტიური დამოკიდებულებების ჩვენებას.	4.07	1.091

რაც შეეხება განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებულ საკითხებს ინტერპერსონალური პერსპექტივიდან, სტუდენტების დაახლოებით ერთნაირი

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

რაოდენობა აფასებს ერთნაირი ქულებით როგორც საკუთარ ინტერესს სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების მიმართ, ასევე იმ ძალისხმევას, რომელსაც ამ ჯგუფების თანასწორობისა და ინკლუზიურ გარემოში ცხოვრებისათვის სწევენ, იმ განსხვავებით, რომ ინტერესის შემთხვევაში თანხმობის სიხშირე მცირედად მეტია.

## გრაფიკი 41. დებულებები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესახებ



გარდა სტუდენტების დამოკიდებულებისა, კითხვარი ასევე მოიცავდა 7 კითხვას ინტერკულტურული განათლების კონცეფციების შესახებ, რაც საშუალებას იძლეოდა გაგვერკვია, რამდენად გააჩნიათ სტუდენტებს ინტერკულტურული საკითხების თეორიული ცოდნა. კითხვები გულისხმობდა ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორის პასუხის არჩევას.

ქვემოთ მოცემულია კითხვები სავარაუდო პასუხებით:

1. კულტურათშორისი ურთიერთობის მთავარი ბარიერი არის \_\_\_\_\_, რომელიც ადამიანების ქმედებებს და თვითგამოხატულებას ერთ, კონკრეტულ კულტურაში მოქმედი სტანდარტისა და წესების მიხედვით აფასებს, რადგან სწორედ ამ კულტურას თვლის ერთადერთ ფასეულად.
  - ა. დომესტიკაცია
  - ბ. ეთნიკურობა
  - გ. ეროვნულობა
  - დ. **ეთნოცენტრიზმი**
2. კულტურა ღრმად არის ჩაბეჭდილი ჩვენს:
  - ა. **ცნობიერებაში**
  - ბ. რწმენაში
  - გ. შესტიკულაციებში
  - დ. თვითგამოხატულებაში

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---


3. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კულტურათშორის ურთიერთობებს აუმჯობესებს, გარდა:
- ა. კულტურული განსხვავებების დაფასება
  - ბ. **სხვადასხვა ჯგუფებზე ფოკუსირება**
  - გ. კულტურული მგრძნობელობის განვითარება
  - დ. ქცევის ფრთხილი ანალიზი განსხვავებული კულტურის ფარგლებში
4. ბევრ ადამიანს გააჩნია \_\_\_\_\_, რადგან ისინი საკუთარ თავს ერთდღოულად მიაკუთვნებენ როგორც თავიანთ საწყის, ასევე სხვა კულტურასაც.
- ა. კულტურათშორისი იდენტობა
  - ბ. პოლიცენტრული იდენტობა
  - გ. ეთნოცენტრული იდენტობა
  - დ. **ბიკულტურული იდენტობა**
5. კარგი ინტერკულტურული ურთიერთობების მიღწევა ფერხდება, რადგან ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება \_\_\_\_\_
- ა. კატეგორიზაციისაკენ
  - ბ. კლასიფიკაციისაკენ
  - გ. განსჯისკენ
  - დ. **დისკრიმინაციისკენ**
6. ქვემოთ მოცემული მაგალითებიდან რომელი წარმოადგენს მრავალფეროვნების წახალისების მაგალითს?
- ა. ქალებისადმი სამართლიანად მოპყრობა
  - ბ. სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ადამიანების მოპყრობა სამართლიანად
  - გ. **კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების პატივისცემა და მოწონება**
  - დ. სხვა ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფის ადამიანების მიმართ ტოლერანტობა
7. რა არის კულტურული ინტელექტი?
- ა. სხვა ენაზე საუბრის უნარი
  - ბ. **პირის უცნობი და ბუნდოვანი ქვევის ინტერპრეტირება იმგვარად, როგორც ამას ამ პირის კულტურის წარმომადგენლები შეძლებდნენ.**
  - გ. კულტურული განსხვავებების კვლევის უნარი
  - დ. პირის უცნობი და ბუნდოვანი ქცევის ინტერპრეტირება იმგვარად, როგორც ამას ამ პირის კულტურის წარმომადგენლები შეძლებდნენ.

*რენტცი და ლენცი, გვ. 45, თავი 2: კომუნიკაცია კულტურებს შორის  
Lesikar's Business Communication: Connecting in a Digital World, 2014,*

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია სწორი პასუხების სიხშირული განაწილება თითოეული დებულებისათვის:

**გრაფიკი 42: სწორი პასუხების სიხშირე ინტერკულტურული საკითხების შესახებ დებულებებზე**



სწორი პასუხების აბსოლუტური უმრავლესობა მერყეობს 30-40% შუალედში, დებულება, რომელზეც სტუდენტების თითქმის 70% პასუხობს სწორად, ეხება კულტურის ცნობიერ აღქმას, და შესაბამისად, სტუდენტების უმეტესი ნაწილისათვის ეს გასაგებია. პასუხების ამგვარი განაწილება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი არ ფლობს თეორიულ და აკადემიურ ცოდნას კულტურული და ინტერკულტურული კონცეფციების შესახებ. მეორე მხრივ, კვლევა აჩვენებს, რომ სწორი პასუხები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დადგებითკორელაციურია სტუდენტების მაღალ ინტერკულტურულ მოწიფულობასთან ყველა დომენისათვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობას აკადემიურ სივრცეში.

## დასკვნა

ამრიგად, სტუდენტების პასუხების ანალიზი დებულებების მიხედვით ავლენს რამდენიმე ტენდენციას:

1. სტუდენტები მაღალ შეფასებას ანიჭებენ საკუთარი კულტურის ღირებულებას და მნიშვნელობას. იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი კულტურის უპირატესობა სხვა კულტურების მნიშვნელობის დაკნინების ხარჯზე წარმოჩინდება, სტუდენტები დებულებებს ნაკლები სიხშირით ეთანხმებიან.
2. სტუდენტები მაღალ ემპათიას ავლენენ განსხვავებული ჯგუფების, მათ შორის - ეთნიკური, რელიგიური და კულტურული განსხვავებების მქონეთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ასევე საკმაოდ თვალსაჩინოდ ვლინდება ემპათია სექსუალური უმცირესობების მიმართ, საერთო ჯამში, ამ ჯგუფთან დაკავშირებულ დებულებებზე პოზიტიური დამოკიდებულების დაფიქსირების და უფლებათა დაცვისათვის მზაობის სიხშირე სხვა ჯგუფებთან შედარებით ნაკლებია.

## **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

3. სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი აცხადებს, რომ კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის პერსპექტივების გათვალისწინება შეუძლიათ, თუმცა, ნაკლებად ავლენენ მგრძნობელობას იმ ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რომლებიც საქართველოში კონფლიქტის მხარეს წარმოადგენენ.
4. სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მიიჩნევს, რომ ავტორიტეტული მოსაზრებების გავლენის ქვეშ იმყოფება, მათ შორის - არც რელიგიური მიმართულებით.
5. სტუდენტების დიდი ნაწილი ავლენს სიმპათიას და ემპათიას საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ.
6. იმ დებულებებს, რომელშიც ინტერკულტურული ასპექტები ზოგადი პერსპექტივიდან არის განხილული, სტუდენტები დიდი სიხშირით ეთანხმებიან, ვიდრე დებულებებს, რომლებიც კონკრეტულ, მათთვის ნაცნობ მოცემულობას აღწერენ.
7. დებულებები, რომლებიც განსაკუთრებით კატეგორიულია და გამყარებულია სიტყვებით „არასდროს“, „სრულიად“, „უფრო დაბალი სტატისტიკური საშუალოთი და მაღალი სტანდარტული გადახრით ხასიათდებიან, ვიდრე ის დებულებები, რომლებიც საკუთარი მოსაზრების, რწმენის და პრინციპების დაცვას და ჩამოყალიბებას უკავშირდება.
8. სტუდენტები, რომლებსაც მაღალი ინტერკულტურული მოწიფულობა გააჩნიათ გამოკითხვის მიხედვით, უფრო ხშირად პასუხობენ სწორად კითხვებს ინტერკულტურული კონცეფციების შესახებ.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## თავი მეშვიდე

### რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის ინსტიტუციურ დონეზე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის)

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემდეგი ღონისძიებების გატარება: სტრუქტურული, ინსტიტუციური და ინტერაქციული მრავალფეროვნების ხელშესაწყობად საუნივერსიტეტო დონეზე:

#### 7.1. სტრუქტურული მრავალფეროვნება

##### სტუდენტების მოზიდვა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

- საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და მათი კონტინგენტის ზრდა;
- საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად შესაბამისი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება;
- კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობრივი ზრდა, აბიტურიენტების მოსაზიდად სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტთა შენარჩუნებაზე ორიენტირებული აკადემიური და პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით საერთაშორისო განათლების მიღების უზრუნველყოფა.

##### აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა

- უნივერსიტეტის მართვის საშუალო და დაბალ რგოლებში მენეჯმენტის დივერსიფიკაცია, განსხვავებული კულტურული ჯგუფების წარმომადგენელთა წილის გაზრდა;
- მრავალფეროვნების მართვისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა და იმპლემენტაცია;

# **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

- მრავალფეროვნების პროგრამებისა და პროექტების მუდმივი შეფასება და გაცნობა;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით შეტანილი წვლილის შეფასება, აღიარება და წახალისება.

## **7.2. ინსტიტუციური**

- საბაკალავრო საფეხურის პროგრამების სწავლის მიზნებსა და შედეგებში მულტიკულტურული კომპეტენციებისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის ასახვა;
- მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის შესახებ კურსის სავალდებულო საგნად სწავლება საბაკალავრო საფეხურის ყველა პროგრამაში. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული კურსი არ არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში, ხოლო ნაწილში ის მხოლოდ არჩევითია, რაც რეალურად, სრულიად არ აძლევს ან ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობას გაიარონ ამ მიმართულების კურსი;
- საბაკალავრო პროგრამებში თითოეული საგნის სასწავლო გეგმაში ინტერკულტურული ასპექტების ასახვა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზოგადი პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებისკენ ორიენტირებული კურსებისათვის, და ასევე რეკომენდირებულია საგნობრივი კურსებისთვის;
- სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება სტუდენტთათვის მრავალფეროვან და განსხვავებულ კულტურულ გარემოში, მათ შორის - სასოფლო და მაღალმთიან დასახლებებში;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება ინტერკულტურული სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი იმპლემენტაციის საკითხებზე. აღნიშნული მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა დასტურდება კვლევით, რადგან პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან ნაკლებად ხდება ამ მიდგომების და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება;
- ინტერდისციპლინარული მიმართულების კვლევების წახალისება ინტერკულტურული გარემოს და მრავალფეროვნების მიმართულებით სტუდენტების ინიცირებით და მათი მაღალი ჩართულობით;

# **ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

- საუნივერსიტეტო და სასკოლო ურთიერთთანამშრომლობის წახალისება ინტერკულტურული გამოცდილების გაზიარებისათვის, რაც მნიშვნელოვანი წვლილი იქნება მომავალი სტუდენტების მულტიკულტურული კომპეტენციებისა და ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის მაღალი მზაობის უზრუნველსაყოფად.

## **7.3. ინტერაქციული მრავალფეროვნება**

- ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარებისთვის საუნივერსიტეტო დონეზე მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის წამახალისებელი აქტივობების ორგანიზება. კვლევები ადასტურებს, რომ პრაქტიკული აქტივობები უმნიშვნელოვანესია სტუდენტებში ინტერკულტურული მგრძნობელობის გასაზრდელად და თეორიულ კურსებზე მეტი ეფექტი სწორედ პრაქტიკულ აქტივობებს, საუნივერსიტეტო მრავალფეროვან გარემოს და ასეთ გარემოში პრაქტიკას ენიჭება;
- სტუდენტთა საჭიროებებზე და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინკლუზიაზე ორიენტირებული სტუდენტური გაერთიანებების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო და უმცირესობათა სტუდენტური ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა;
- საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუნივერსიტეტო ინკლუზიისთვის ღონისძიებების განსახორციელებლად;
- უნივერსიტეტის ახალგაზრდული ცენტრის აქტივობების მხარდაჭერა;
- მრავალფეროვან ინტერაქციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საუნივერსიტეტო დონეზე სტუდენტთა აქტივობებისთვის ბიუჯეტის მუხლების დამტკიცების თანასწორი, კონკურენტული და გამჭვირვალე მექანიზმების ამუშავება;
- საუნივერსიტეტო მრავალფეროვნებისთვის სტუდენტთა ინტერაქციისთვის დაფინანსების მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
- საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათაშორისი გაცვლითი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სტუდენტური ინტერკულტურული მიმართულებით განხორციელებული ინიციატივების წახალისება სხვადასხვა ტიპის ინსენტივებით, როგორიცაა ერთჯერადი გრანტები და აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები / დიპლომები და ა.შ.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Bennett, M. (1993). 'Towards ethnorelativism: A developmental model of intercultural sensitivity. In M. Paige (Ed.), *Education for the intercultural experience* (pp. 21-71). Yarmouth, ME: Intercultural Press;
- Bennett, J. M., Bennett, M. J., & Allen, W. (1999). Developing intercultural competence in the language classroom. In R. M. Paige, D. L. Lange, & Y. A. Yershova (Eds.), *Culture as the core: Integrating culture into the language curriculum. CARLA working paper #15*. Minneapolis, MN: University of Minnesota.
- Bloom, B S (ed.) (1956) *Taxonomy of Educational Objectives, the classification of educational goals – Handbook I: Cognitive Domain* New York: McKay
- Chen, G. M. 1990 Intercultural communication Competence: Some perspectives of research. *The Howard Journal of Communications*, 2, 243-261.
- Chen, G.M., & Starosta, W. J. 1996 Intercultural communication competence: a synthesis. *Communication Yearbook*, 19, 353-383.
- Chen, G.M., & Starosta, W. J. 1998 A review of the concept of intercultural sensitivity. *Human Communication*, 1, 1-16.
- Chen, G.M., & Starosta, W. J. 1999 A review of the concept of intercultural awareness. *Human Communication*, 2, 27-54.
- Chen, G.M., & Starosta, W. J. 2000 The development and validation of the intercultural communication sensitivity scale. *Human Communication*, 3, 1-15
- Chen, G., & Starosta, W.J. (2005). Foundations of intercultural communication. Lanham, MD: University Press of America
- Cushner, K., McClelland A., & Safford, P.(2006). Human Diversity in Education, an Integrative Approach . Publishing house McGrawHill, New York, NY
- Gabunia, K. (2014). Language situation in modern Georgia 2. Caucasian and non-caucasian languages. *International Journal of Multilingual Education*, 2(2), 1-21.
- Gedevanishvili, I., Tsereteli, M., Toroshelidze, G., Phophkhadze, T., & Lominashvili, I. Intercultural competency and ethnosentrism in Georgia, Azerbaijani and Armenian youth leaving in Georgia. *International Journal of Multilingual Education*. 4(2), 32-45
- Georgian Law on Higher Education (2005). retrieved on February 25. 2020 from the web-site: [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
- King, P. M., & Baxter Magolda, M. B. (2005). A developmental model of intercultural maturity. *Journal of college student development*, 46(6), 571-592.

**ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი  
საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020**

---

- Gorgadze, N. (2016). Rethinking integration policy—Dual ethnic and cultural Identity. *International Journal of Multilingual Education*, 4(2), 6-31. doi:10.22333/ijme.2016.8002
- Gorgadze, N. (2015). Gender aspects in primary education of Georgia. *International Journal on Education and Research*, 3 (11), 110-123.
- Malazonia, D., Maglakelidze, S., Chiabrishvili, N., & Gakheladze, G. (2017). Factors of students' intercultural competence development in the context of Georgia. *Cogent education*, 4 (1), 1302867.
- Rentz, K., Lentz, P., (2014). Lesikar's Business Communication: Connecting in a Digital World, *McGraw-Hill/Irvin*, 2014.
- Tabatadze, S. (2010). Intercultural education in Georgia. In *Cultural dialogue and civil consciousness: religious dimension of the intercultural education*, ed. G. Nodia, 63–86. Tbilisi: CIPDD Publishing.
- Tabatadze, S. (2015), "Teachers' approaches to multicultural education in Georgian classrooms", *Journal for Multicultural Education*, Vol. 9 No. 4, pp. 248-262. <https://doi.org/10.1108/JME-07-2014-0031>.
- Tabatadze, S. (2017). Minority Education in Georgia: Is It Delivering What Is Expected?. *Diaspora, Indigenous, and Minority Education*, 11(1), 17-30. <https://doi.org/10.1080/15595692.2016.1245658>.
- Tabatadze, S. (2018). The problems and challenges of mother tongue education in Abkhazia. *International Journal of Multilingual Education*, 6 (1), 135-151. <https://doi.org/10.22333/ijme.2018.110021>
- Tabatadze, S., Gabunia, K., & Odzeli, M. (2008). *Recommendations on language policy to protect linguistic minorities*. Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations. Tbilisi. Georgia
- Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2013). *Intercultural Education Research in Primary Grades of Georgia*. Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations. Tbilisi. Georgia.
- Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2014a). Intercultural sensitivity of primary school teachers of Georgia. *International Journal of Education and Research*, 6, 281-300.
- Tabatadze, S. and Gorgadze, N. (2018), "Selective intercultural sensitivity to different sources of cultural identity: Study of intercultural sensitivity of students at teacher education programs of Georgia", *Journal for Multicultural Education*, Vol. 12 No. 1, pp. 35-49. <https://doi.org/10.1108/JME-11-2016-0>.
- გორგაძე, ნ. და ტაბატაძე, შ. (2019) სტუდენტთა ინტერკულტურული მოხერხებულობის კვლევა თსუ და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებში. საბაზისო კვლევა. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულათონორისი ურთიერთობების ცენტრი. თბილისი. საქართველო.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2014) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის  
შედეგები. თბილისი, საქართველო

ტაბატაძე, შ. და გორგაძე, ნ. (2014ბ) ინტერკულტურული ასკექტების კვლევა  
საქართველოს უმაღლეს განათლების მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე.  
სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.  
თბილისი. საქართველო

ტაბატაძე , შ. (2015) ინტერკულტურული განათლების შეფასების ასკექტები განათლების  
დაწყებით საფეხურზე. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. საქართველო.

წერეთელი, მ. გედევანიშვილი, ი. (2011) ქართველ სტუდენტთა აფხაზების მიმართ  
ინტერკულტურული სენსიტიურობის კვლევა. უურნალი ბილინგვური განათლება  
#6 , გვ. 9-17;

წერეთელი, მ. გედევანიშვილი, ი. (2011) ინტერკულტურული მგრძნობელობის გაზომვა  
ქართველ სტუდენტებში. უურნალი ბილინგვური განათლება #5 , გვ. 2-9.

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---

## ცხრილები

- ცხრილი #1. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა რაოდენობრივი და პროცენტული
- ცხრილი #2. საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა რეგიონების მიხედვით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014)
- ცხრილი #3. საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნება რეგიონების მიხედვით
- ცხრილი 4. რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში
- ცხრილი 5. საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება რეგიონების მიხედვით.
- ცხრილი #6. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით.
- ცხრილი 7. შერჩეული სტუდენტების გადანაწილება კურძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის
- ცხრილი 8. შერჩეულ სტუდენტთა გადანაწილება უნივერსიტეტებისა და პროგრამების მიხედვით
- ცხრილი 9. კინგისა და მაგოლდას ინტერკულტურული მოწიფულობის 3-განზომილებიანი მოდელი
- ცხრილი 10. კულტურული მოწიფულობის შეფასების სკალა
- ცხრილი #11: სტუდენტთა პასუხების საშუალო და სტანდარტული გადახრა ინტერპერსონალური დომენის დებულებებისთვის
- ცხრილი #12: ინტერპერსონალური დომენის დებულებები

# ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

## გრაფიკები

გრაფიკი 1. სტუდენტთა გადანაწილება ასაკი მიხედვით

გრაფიკი 2. სტუდენტთა ინტერკულტურული მოწიფულობა სამივე დომენის მიხედვით

გრაფიკი #3. სტუდენტთა გადანაწილება ინტერკულტურული მოწიფულობის სამი დონის შესაბამისად-კოგნიტური დომენი

გრაფიკი #4. ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი ბენეტის საფეხურების შესაბამისად

გრაფიკი #5. ინტრაპერსონალური დომენი:

გრაფიკი 6. ინტრაპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით

გრაფიკი #7. ინტერპერსონალური დომენი

გრაფიკი #8. ინტერპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით

გრაფიკი #9. ინტერკულტურული მოწიფულობა სქესის მიხედვით

გრაფიკი #10. ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით სქესთაშორისი განსხვავება

გრაფიკი #11. ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით სქესთაშორისი განსხვავება

გრაფიკი #12 ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი ბენეტის საფეხურების მიხედვით სქესთაშორისი განსხვავება

გრაფიკი #13. ინტერკულტურული მოწიფულობა ასაკის მიხედვით

გრაფიკი #14. კოგნიტური დომენი ასაკი მიხედვით

გრაფიკი #15. ინტერპერსონალური დომენი ასაკის მიხედვით

გრაფიკი 16. ინტრაპერსონალური დომენი ასაკი მიხედვით

გრაფიკი 17: უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის დომენების საერთო განაწილება ბენეტის მოდელის მიხედვით.

გრაფიკი 18.: სტუდენტების გადანაწილება სამგანზომილებიან ინტერკულტურული მოწიფულობის ფაზებზე უნივერსიტეტის ტიპების მიხედვით

გრაფიკი 19. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი ბენეტის მოდელის მიხედვით

გრაფიკი 20. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტრაპერსონალური დომენი კინგის და მაგოლდა სამდონიანი მოდელის მიხედვით.

გრაფიკი 21. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი ბენეტის მოდელის მიხედვით.

გრაფიკი 22. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის კოგნიტური დომენი კინგის და მაგოლდა სამდონიანი მოდელის მიხედვით.

გრაფიკი 23. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი ბენეტის მოდელის მიხედვით.

გრაფიკი 24. უნივერსიტეტების ტიპების მიხედვით ინტერკულტურული მოწიფულობის ინტერპერსონალური დომენი კინგის და მაგოლდა სამდონიანი მოდელის მიხედვით.

## ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში, 2020

---

გრაფიკი 25: პასუხების გადანაწილება დებულებაზე: „პროფესორ- მასწავლებლები ერთნაირად ყურადღებიანი და კეთილმოსურნები არიან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის სტუდენტების მიმართ“

გრაფიკი 26: ლექტორებს ლექციებზე სასაუბროდ მოჰყავთ განსხვავებული პერსპექტივის, წარმომავლობისა და ხედვის ადამიანები მოწვეული სტუმრად

გრაფიკი 27: ლექტორები ცდილობენ, სტუდენტების შეხედულებებს დაუპირისპირონ განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრებები და ამ ფორმატში წარმართონ ლექციის დინამიკა

გრაფიკი 28: უნივერსიტეტში ტარდება ღონისძიებები, რომელიც ასახავს საქართველოს მრავალეთნიკურ კულტურას

გრაფიკი 29: უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლუბთან შეხვედრები

გრაფიკი 30: უნივერსიტეტში ტარდება კულტურული და/ან სპორტული ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით

გრაფიკი 31: სტუდენტების პასუხების შედარებითი ანალიზი კულტურის ღირებულებასთან დაკავშირებით

გრაფიკი 32: სტუდენტების შედარებითი ანალიზი ქართული კულტურის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით

გრაფიკი 33: დებულებები კონფლიქტთან მიმართებით, რომელიც საქართველოსთან უშუალო კავშირშია

გრაფიკი 34: დებულებები კონფლიქტთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებზე

გრაფიკი 35: რელიგიური საკითხების მიმართ დამოკიდებულებებზე

გრაფიკი 36: დებულებები ეთნიკური ჯგუფების შესახებ

გრაფიკი 35: რელიგიური საკითხების მიმართ დამოკიდებულებებზე

გრაფიკი 36: დებულებები ეთნიკური ჯგუფების შესახებ

გრაფიკი 37. დებულებები დისკრიმინირებული ჯგუფების მიმართ ემპათიაზე

გრაფიკი 38: დებულებები კულტურული და რელიგიური განსხვავებების და მოქალაქეობრივი უფლებების შესახებ

გრაფიკი 39: საკუთარი და სხვისი უფლებებისა და საჭიროებები შესახებ

გრაფიკი 40: დებულებები მოხალისეობისათვის მზაობის შესახებ

გრაფიკი 41. დებულებები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების შესახებ

გრაფიკი 42: სწორი პასუხების სიხშირე ინტერკულტურული საკითხების შესახებ დებულებებზე.